# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 7 მარტი 2002 №38 (1560) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## კალაძეს სხვა არაფერი დარჩენია რადიკალური პროტესტის გარდა. იგი არაფერს ერჩის ქართველ გულშემატკივარს, მასზე კარგის მეტი არც არასოდეს უთქვამს რამე.

# კალაძე ხალხს კი არ უბრუნებს პასპორტს, არამედ სახელმწიფოს

## რომელმაც ამ ათ თვეში მის დრამას დამაიმედებელიც ვერაფერი შესთავაზა



### აკაკი ასათიანი

**კახა კალაძის საქციელი სამართლიანია**



### პეტრე ცისკარიშვილი

**კახა კალაძეს აქვს უფლება, სახელმწიფოს ასეთი ულტიმატუმი წაუყენოს**

***გიორგი ქინქლაძე:***

*კახა კალაძე პატარა ბიჭი აღარ არის და დაუფიქრებლად არაფერს იტყოდა. მესმის მისი, ნერვები აღარ უვარგა. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ თავი მის ადგილზე. ღმერთმა დაიფაროს ვინმე მსგავსი ტკივილისგან, კახა ძალიან განიცდის და, რა თქმა უნდა, არაფერში ვამტყუნებ.*

***ლევან ცქიტიშვილი:***

*ბოლოს და ბოლოს, რაიმე ხომ უნდა გაირკვეს, ათი თვეა, ბიჭი გატაცებულია და არაფერი ისმის. ვიზიარებ კახას განცდებს, გვერდში ვუდგევარ და შეძლებისდაგვარად დავეხმარები კიდეც. საერთოდ კი, ისიც მიკვირს, კახა ამდენ ხანს ასეთ დონეზე როგორ თამაშობს, თითქმის წელიწადია, არაფერს იმჩნევს, ამას ვაჟკაცობა სჭირდება.*

***მიხეილ ყაველაშვილი:***

*გასაგებია კახას მდგომარეობა და წარმომიდგენია, რა დღეშიც არის. მისი განცხადება პროტესტის უკიდურესი ფორმაა. კარგად ვიცი ნაკრებისადმი მისი დამოკიდებულება და არა მგონია, ეროვნული გუნდი დატოვოს. კახა ეროვნებას ვერ გამოიცვლის. სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება კი არასწორად მიმაჩნია. კახამ თავისი სიტყვებით ქვეყანას შეახსენა, რომ მისი ძმა გატაცებულია და ყურადღება მოითხოვა. მართალიც არის.*

# ძმის გადასარჩენად

**ამ კვირაში** კვლავ გაიღვიძა თითქოს ჩაჩუმებულმა ისტორიამ: „მილანის“ ფეხბურთელმა კახა კალაძემ თითქოსდა უკანასკნელ შანსს მიმართა თავისი ათი თვის წინათ მოტაცებული ძმის, ლევან კალაძის გამოსახსნელად.



კალაძე პირველ მაისამდე დაელოდება ძმის დაბრუნებას, ხოლო თუ მოტაცებული არ გამოჩნდა, უარს იტყვის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობაზე და, აქედან გამომდინარე, აღარასოდეს ითამაშებს საქართველოს ნაკრებში, რომლის მაისურაც თავისთვის მეტად მძიმე დღეებშიაც კი სცმია, მაშინ, როცა მისი ძმა ახალი მოტაცებული იყო.

ყველას ახსოვს კალაძის მაშინდელი ცრემლი საქართველოს ჰიმნის სმენისას და, ცხადია, მისი ულტიმატუმი გულშემატკივარს უსიამოვნოდ დაურჩება. მით უმეტეს, რომ ფეხბურთელს ისიც უთქვამს, რომ ფიფას საგანგებო თხოვნით მიმართავს, რათა უკრაინის ნაკრებში შეძლოს თამაში. თუმცა, ეს უკანასკნელი ცნობა სულაც არა ჩანს მთავარი კალაძის განცხადებაში და ის უსიამოვნო შეგრძნებაც, გულშემატკივარი რომ განიცდის ამის მოსმენისას, არაფერია იმ დრამასთან შედარებით, კალაძეს რომ დაატყდა თავს.

კალაძე ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, ის ერთადერთი ქართველია, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კლუბში რომ მოხვდა და ძირითად შემადგენლობაში თამაში მოახერხა. ამ დრამატული ათი თვის განმავლობაში კალაძე პირნათლად ასრულებდა თავის პროფესიულ მოვალეობებს კლუბსა და ნაკრებში, რაც მის ფსიქოლოგიურ სიმტკიცეზე მეტყველებს. ამასთან, კალაძე შეძლებული ახალგაზრდა კაცია და დასავლური სტანდარტების შემოსავალს თავისი ოფლითა და შრომით მოიპოვებს. მისი ძმის გაქრობის მიზეზიც სწორედ ამ უკანასკნელ ამბავს უნდა დავუკავშიროთ.

მიუხედავად პროფესიონალიზმისა, კალაძე ვერაფრით ეგუება იმ აზრს, რომ წელიწადი სრულდება და მისი ძმა კვლავ არ ჩანს. ამგვარი შემგუებლობა წარმოუდგენელიც იქნებოდა. რა თქმა უნდა, კალაძისა და მისი ოჯახისთვის ბევრად მეტია ცნობილი ლევანის მოტაცების შესახებ, ვიდრე საზოგადოებისთვის. ამიტომ მისი განცხადება საფუძველს მოკლებული სულაც არაა. ფეხბურთელს აღარ შეუძლია გაურკვევლობაში ყოფნა. კალაძის განცხადება კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ საქართველოში ადამიანი სრულიად დაუცველი, უსუსური და უღონოა. თვით ფეხბურთის ვარსკვლავიც, თავის ხელობაში გამორჩეული კაცი, ვერაფერს ახერხებს იმისთვის, რომ უცხო ქვეყანაში მაინც დაცული იყოს.

უბრალოდ, ამ ყოფის შემხედვარეს, კალაძეს სხვა არაფერი დარჩენია რადიკალური პროტესტის გარდა. კალაძე არაფერს ერჩის ქართველ გულშემატკივარს, მასზე კარგის მეტი არც არასოდეს უთქვამს რამე. ის ხალხს კი არ უბრუნებს ზურგს, არამედ სახელმწიფოს, რომელმაც ამ ათ თვეში მის დრამას თუნდაც დამამშვიდებელი ვერაფერი შესთავაზა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიცით, როგორ მიდის ამ საქმის გამოძიება, მაგრამ კალაძე რომ სანუგეშოს ვერაფერს ხედავს, აშკარაა.

კალაძის გადაწყვეტილება ერთგვარ სიმბოლოდაც შეიძლება ჩავთვალოთ. ეს საკმაოდ რთული სიმბოლოა, რომელიც მარტოდ დარჩენილი ადამიანისა და საქვეყნო განუკითხაობის ურთიერთდამოკიდებულებას გამოხატავს. კალაძე თავისი ღვიძლი ძმის გადარჩენას, თავისი ოჯახის ბედნიერების აღდგენას ცდილობს.

და მაინც, ვიფიქროთ უკეთესი და ვიოცნებოთ უკეთესზე: ლევან კალაძე ოჯახს დაუბრუნდეს, კახამ კი კვლავ ითამაშოს საქართველოს ნაკრებში.

სხვა არც რამე დაგვრჩენია ფიქრისა და ოცნების გარდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კახა კალაძეს აქვს უფლება



ზურაბ დოლიძეაშვილის ფოტო

*აკაკი ასათიანი*, პარლამენტარი, ფრაქცია „ტრადიციონალისტი“

— როგორია თქვენი კომენტარი კახა კალაძის ულტიმატუმთან დაკავშირებით?

— კახა კალაძის საქციელი სამართლიანია.

**— თუ კალაძე უარს იტყვის ნაკრებში თამაშზე, საქართველოს იმიჯი ხომ კიდევ უფრო შეილახება...**

— ეს თავისთავად, მაგრამ „მილანი“ ხომ ხელწამოსაკრავი კლუბი არ არის და კალაძის ამბავიც ხომ ისედაც ყველამ გაიგო, მთელმა ევროპამ და მსოფლიომ.

**— რატომ გაიწელა ამდენ ხანს ეს ამბავი, რასთან გვაქვს საქმე?**

— ერთი ახსნა აქვს ამას. ეტყობა, ამ საქმეში მართლაც არის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ხელი გარეული და უბრალოდ, ვერ ამჟღავნებენ ამას.

**— თქვენ რა პერსპექტივას ხედავთ?**

— ხელისუფლება უნდა შეიცვალოს.

**— სხვა გამოსავალი არ არის?**

— იმედია, ეს საქმე მოგვარდება, მაგრამ მარტო ეს ძალიან ცოტაა: ხელისუფლება უნდა შეიცვალოს — ეს ყველასათვის დღესავით ნათელია.

**— კახა კალაძე ამბობს, რომ მისი ძმა პანკისში არ არის გატაცებული. როგორ ფიქრობთ, რა ძალასთან გვაქვს საქმე?**

— ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით, დეტალებში გარკვეული არ ვარ.

**— კალაძე თუ აღარ ითამაშებს ეროვნულ ნაკრებში, ეს ხომ გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება.**

— როგორც გულშემატკივარი, ცხადია, მაინტერესებს, რა სიტუაციაში იქნება ჩვენი ნაკრები, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, წმინდა საფეხბურთო მხარე ნაკლებად მაწუხებს.



*პეტრე ცისკარიშვილი*, პარლამენტარი, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“

— თუ კახა კალაძე საქართველოს ეროვნულ ნაკრებში აღარ ითამაშებს, ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დამდეგ შესარჩევ ციკლში რუსეთთან გვიწევს შეხვედრები და კალაძის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება. რაც შეეხება მისი ძმის გატაცების ფაქტს, სამწუხაროდ, ეს ყოველივე საიდუმლოებით არის მოცული, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ 1 მაისამდე მოხდება ლევან კალაძის გათავისუფლება.

**— თუ ასე არ მოხდა და კახა კალაძემ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშზე უარი თქვა, ეს ხომ კიდევ უფრო შეარყევს საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტს...**

— საერთაშორისო დონეზე ჩვენი ავტორიტეტი უკვე კარგა ხანია, შერყეულია. მაგრამ თუ კალაძე აღარ ითამაშებს საქართველოს ნაკრებში, ეს კიდევ ერთი დარტყმა იქნება ჩვენთვის, თანაც მტერს გულს გაუხარებს — ეს ბევრს ესიამოვნება. უმაღლესი დონის ფეხბურთელსაც დავკარგავთ და კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რომ სახელმწიფოს არ შესწევს უნარი, მოქალაქეების უსაფრთხოება დაიცვას.

**— რატომ ჭიანურდება საქმის გახსნა ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან?**

— გატაცებულის საქმის გარშემო რა დეტალებია, ვერ გეტყვით. ძალოვანებს უჭირთ ასეთი სახის დანაშაულთან ბრძოლა. პანკისის საკითხი ასე თუ ისე კი დარეგულირდა, მაგრამ თუ სხვაგან არის ადამიანი გატაცებული, ეს უფრო რთული საკითხია ძალოვანებისთვის. მაგრამ შესაბამისი სტრუქტურები ვალდებულნი არიან, ეს საქმე მოაგვარონ.

**— თქვენ, როგორც ფრაქციის წარმომადგენელმა, შეგიძლიათ პოლიტიკური შეფასება მისცეთ კახა კალაძის ულტიმატუმს?**

— კახა კალაძეს აქვს უფლება, სახელმწიფოს ასეთი ულტიმატუმი წაუყენოს. სიმართლე გითხრათ, მიკვირდა კიდეც, ასეთი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ როგორ ახერხებდა თამაშს.

**— „ნაციონალურ მოძრაობას“ არ შეუძლია რამით დაეხმაროს კალაძეს?**

— „ნაციონალურ მოძრაობას“, ისევე როგორც თითოეულ მოქალაქეს, შეუძლია დააყენოს ეს საკითხი სამართალდამცავების წინაშე. კონკრეტულად ჩვენ, დეპუტატები კი, რა თქმა უნდა, პარლამენტის ტრიბუნასაც გამოვიყენებთ, რათა სამართალდამცავებს მოვთხოვთ, რომ ეს ფაქტი და ეს ულტიმატუმი ერთი ყურიდან მეორეში არ გაუშვან.

**დავით თავართქილაძე**

**ზურაბ ფოცხვერია თანაუგრძნობს**
**გაიოზ დარსაძეს დედის**
**ვენერა ერაძის**
**გარდაცვალების გამო**

**სარბიელელები სამძიმარს უცხადებთ**
**გაიოზ დარსაძეს დედის**
**ვენერა ერაძის**
**გარდაცვალების გამო**

# დავით ყიფიანის თასი

**მეოთხედფინალი. პირველი მატჩები**

ბათუმი. ცენტრალური. 3 000 (ტევადობა 20 000). 6 მარტი. 15 საათი

## ბათუმი 1:2 ლოკომოტივი

0:1 კალდარაშვილი (6), 1:1 მეჭუტაძე (38), 1:2 დავითაშვილი (65)

| | |
|---|---|
| ბათუმი: ქანთურია, მახარაძე, მინდაძე, არჩვაძე, თურმანიძე, ქიქარავა (დარჩიძე 69), ჯანაშია (აფხაზავა 30), გ. ჩხაიძე, ტულუში, დ. ჯანაშია, მეჭუტაძე. სათადარიგონი: ბალაძე, ჩიჩუა, ინაიშვილი, ბუჯანიძე. მწვრთნელი: ასლან ბალაძე | ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, ხოლუაშვილი, მაჩხაძე (ლალაძიძე 61), ონიანი, ქიქვიშვილი, სირაძე, კ. გოგიჩაიშვილი (არუდაშვილი 88), დავითაშვილი (დავითიძე 78), კალდარაშვილი. სათადარიგონი: იურდაძე, სირბილაძე, ბერულავა, როჭია. მწვრთნელი: კახა ცხადაძე |

გაფრთხილება: ჯანაშია (44), ქიქვიშვილი (67), არჩვაძე (71)

მსაჯები: ა. ზილამბერიძე (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მეხიო (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ჯარიმა: 18-21; კუთხური: 4-6; კარისკენ დარტყმები: 4-4; კარში დარტყმები: 4-7; თამაშგარე: 1-3

# ცხადაძის განაცხადი



დავით ჯანაშია

იუზა კაპიტაძე ბათუმიდან

**მეოთხედფინალური** წყვილებიდან „ბათუმი" — „ლოკომოტივის" დაპირისპირება, დაგვეთანხმებით, გამორჩეულად საინტერესო გახლდათ, განახლებული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ამ გუნდების სიახლოვის (მესამე-მეორე ადგილები) გათვალისწინებითაც და მათი სათასო წარსულიდან გამომდინარეც. ზღვისპირელებს ხუთჯერ უთამაშიათ ფინალში, რკინიგზელებს ორჯერ და ორივეს თითოჯერ წარმატებით. „ბათუმმა" 1998-ში მოიპოვა თასი, „ლოკომოტივმა" ორი წლის შემდეგ. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ორრაუნდიან დავაში მეტოქეთა შანსები თანაბარი ჩანდა, პირველ მატჩში კი „ბათუმის", როგორც მასპინძლის, სტუმრისაზე ოდნავ მეტი...

რკინიგზელთა მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ თითქმის იგივე შემადგენლობით გაიყვანა გუნდი მოედანზე, როგორც ოთხი დღის წინ „მერანთან" ჩემპიონატის მატჩში, ეგ იყო, დათვაძის ნაცვლად ცხადაძემ დავითაშვილი დააყენა. მასპინძელთა რიგებში კი, გურულებთან მატჩისგან განსხვავებით, ორი სიახლე იყო სასტარტოში — აფხაზავას და ავადმყოფი კობიძის მაგივრობა ქიქარავას და გვაზავას მაინდო ბათუმელთა დამრიგებელმა ასლან ბალაძემ. ორივე გუნდმა 4-4-2 ტაქტიკურ სქემას მიმართა. ჰოდა, თამაში გახურებულიც არ იყო, სტუმრებმა გოლი რომ გაიტანეს. რკინიგზელების მიერ აუტიდან საჯარიმოში ჩაგდებულმა ბურთმა მასპინძელი მცველები იმდენად დააბნია, რომ მოგერიებისას ბურთი კალდარაშვილს უკვეშეჰყვის და ალეკომაც შეირგო საჩუქარი — ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

„ბათუმმა", ცხადია, უმალ ვითარების შესაცვლელად გაიბრძოლა და მცირე უპირატესობასაც დაეუფლა. მეცხრე წუთზე ჯანაშიამ საკმაოდ შორიდან, თანაც მახვილი კუთხიდან სახიფათოდ დაურტყა ლომაიას, მეკარემ იმარჯვა და მოიგერია, ბათუმელებმა ურულობაში დამატება მოახერხეს, ოღონდ კუთხურსღა გამორჩნენ. ამის შემდეგ გვაზავამაც გაისროლა შორიდან, თუმცა არაზუსტად. 28-ე წუთზე სტუმრებმა კონტრშეტევაში კინაღამ მეორედ იხეირეს. სირაძემ ათიოდე მეტრიდან თავით ძლიერად გაგზავნა კარისკენ, მაგრამ ქანთურიამ იყოჩაღა. თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში ასლან ბალაძემ წინ გამწევებულ მეჭუტაძეს და ჯანაშიას აფხაზავა მიაშველა და მასპინძელთა იერიშებს სიმწვავეც დაემატა. აფხაზავა თამაშში ჩართვისთანავე გაიჭრა მარცხენა ფლანგზე ბრძოლით კარის ხაზამდე ჩააღწია და შუაგულ საჯარიმოში მეჭუტაძესაც ზუსტად მიაწოდა, მაგრამ ამის დარტყმა გაუცუდდა, თუმცა პაატამ რამდენიმე წუთში გამოასწორა შეცდომა და თითქმის იმავე ადგილიდან მოხდენილი დარტყმით გაათანაბრა გოლი მრავალსვლიან კომბინაციას მოჰყვა, რომელშიც ჯანაშია, ტულუში და თურმანიძე მონაწილეობდნენ. შესვენებამდე დარჩენილ დროში კი უკვე რკინიგზელები არ მოსცილდნენ მეტოქის საჯარიმოს და ორჯერ გატანაც შეეძლოთ. ჯერ იყო და კალდარაშვილის პასის შემდეგ დავითაშვილმა აჯობა მეურვეს და სამეკარეოს წინა ხაზიდან დაურტყა ქანთურიას, გოლკიპერმა ამ შემთხვევაში იმარჯვა. მეორედ, გოგიჩაიშვილის გადაცემით კალდარაშვილი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, ახლოდან დარტყმაც მოასწრო, ოღონდ ძელს მოახვედრა.

თამაშის განახლებიდან 10 წუთი მასპინძლები უფრო აქტიურობდნენ, პირველი საგოლე მომენტიც მათ შექმნეს, ეგ იყო, არ გაუმართლათ — აფხაზავას დარტყმული მანჩხავამ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა. მერე და მერე კი ინიციატივას რკინიგზელები დაეუფლნენ. გოგიჩაიშვილი, კალდარაშვილი და დავითაშვილი მორიგეობით აიწროვებდნენ არცთუ საიმედოდ მოთამაშე ბათუმელთა დაცვას, რასაც ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა.

გოგიჩაიშვილმა მასპინძელი მცველები ხელოვნურ თამაშგარეზე დაიჭირა, საკუთარი ნახევრიდან მეტოქისაზე კალდარაშვილს გაუჭრა, ალეკოს გარდა ორი რკინიგზელიც აღმოჩნდა ქანთურიასთან პირისპირ და, ცხადია, მათ მეკარეს შანსი არ დაუტოვეს — კალდარაშვილმა დავითაშვილს შეაგორებინა ბურთი კარში. ბათუმელებმა გოლის გაპროტესტება სცადეს, რა ფორმითაც, ალბათ, მიხვდებით. ისინი გვერდით მსაჯს მიეჭრნენ და რაღაცას უმტკიცებდნენ. ამ დროს ტრიბუნიდან პლასტმასის საგნებმა დაიწყო ცვენა. ერთი არბიტრსაც მოხვდა ფეხზე, კიდევ კარგი ვნებათაღელვამ დიდხანს არ გასტანა. თამაში მალე გაგრძელდა, მაგრამ მის გადასარჩენად მასპინძელთა მოსალოდნელი შტურმი არა და არ შედგა. კი მოინდომეს ბათუმელებმა, მაგრამ ვინ დააცალა. „ლოკომოტივი" დინჯად იგერიებდა მეტოქის არაორგანიზებულ შეტევებს და მეტიც, თავად ქმნიდა საგოლე მომენტებს. მატჩის ბოლოსკენ კალდარაშვილს და ონიანს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, „ბათუმის" მდგომარეობა საპასუხო შეხვედრისთვის მთლად უიმედო გახდებოდა.

თბილისი. სინათლე. 500 (ტევადობა 3 000). 6 მარტი. 15 საათი

## თსუ 0:1 დინამო

0:1 ანჩაბაძე (13)

| | |
|---|---|
| თსუ: ჭრიკიშვილი, კვირიკაშვილი, ქურაშვილი (იაკობიძე 70), კვარაცხელია, ბერიძე, დათუნაშვილი, ლობჟანიძე, მერებაშვილი, მესხი, ხულოიანიშვილი (ბ. ნოზაძე 45), ქუთილავა (დემეტრაძე 12). სათადარიგონი: გუგუნავა, ქოქუა, სიხაძე. მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი | დინამო: ზოიძე, კარლოსი, ჯიშკარიძე, შაშიაშვილი, სხილაძე (შაგგულიძე 73), ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია, ანჩაბაძე, მაჩკვა, გ.გ. მიქაძე (ზილამბერიძე 73). სათადარიგონი: გვარამაძე, კანდელაკი, ხვანაძე, მაზიაშვილი, მიკუჩაძე. მწვრთნელი: იგორ შუშაკი |

გაფრთხილება: იაკობიძე (78), შაგგულიძე (84)

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ცლაკაშვილი (ორივე თბილისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

ჯარიმა: 12-12; კუთხური: 2-6; კარისკენ დარტყმები: 2-5; კარში დარტყმები: 0-6; თამაშგარე: 1-1

# სტუდენტებმა ნათესავური ალავერდს ვერ გაუძლეს

მამუკა კვანტალიანი

**ავჭალურ მატჩში** ფავორიტი ცნობილი იყო. მართალია, თბილისურ თსუ-ს უხარისხო მოედნის საფარზე ცოტაოდენი შანსი ჰქონდა „დინამოსთან" არ წაეგო, მაგრამ ჯერ სტუმართა დაცვამ, მერე მსაჯის მიერ არდანიშნულმა პენალტმა პირველლიგელს განაჩენი გამოუტანა.

ცხადია, „დინამო" კლასით შეუდარებლად მაღლა დგას თსუ-ზე, ისიც ფაქტია, რომ ათგზის ჩემპიონმა გუშინ დაჩაგრა სტუდენტთა გუნდი, თუმც არც ახალგაზრდა მასპინძლების მონდომებისა და ბრძოლისუნარიანობის დავიწყება ევების.

საბრძოლო შემადგენლობით ეწვია „სინათლეს" შუშაკი და „დინამომ" ერთხანს აცადა ძირითადის რამდენიმე მოთამაშის გარეშე შეტევაზე გადმოსულ თსუ-ს. მერე ერთი სწრაფი კონტრშეტევა და სტუმარიც დაწინაურდა.

დარასელია მარჯვენა ფლანგზე მცველებს გაუსწორდა, ბევრისთვის მოულოდნელად მარჯვენა ფეხით ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა და სიძეს, გიორგი ანჩაბაძეს თავური გაატანინა.

ამის შემდეგ „დინამომ" ბურთი დაიჭირა. გატანის რამდენიმე შანსიც ჰქონდა, მაგრამ ორჯერ მასპინძელთა მეკარე ჭრიკიშვილმა იყოჩაღა, ერთხელაც მიქაძის თავური მოიგერია მარჯვენა ძელმა.

ცდილობდნენ ახალგაზრდა სტუდენტები, ებრძოდნენ „დინამოს", მაგრამ პირველ ტაიმში სახიფათოდ ერთხელაც ვერ გაიწიეს ზოიძის კარისკენ.

თსუ-ს თამაშის დასაწყისშივე ტრავმის გამო საიმედო მცველი ქუხილავა გამოაკლდა. მართალია, მისი შემცვლელი დემეტრაძე აქტიურად ჩაერთო თამაშში, მაგრამ კოჭლაშვილს გეგმები მაინც თავიდანვე აერია.

მეორე ტაიმში მოედანზე ვითარება არ შეცვლილა. „დინამო" ძალების სრული დაზოგვით აკონტროლებდა თამაშს. ერთი-ორჯერ საგოლე მომენტებიც გააცუდეს სტუმრებმა და მშვიდად ელოდნენ მატჩის დასასრულს.

სწორედ მაშინ შეცდა დინამოელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო კარლოსი, საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ვერ დაიმორჩილა და იძულებული შეიქნა, დასარტყმელად მომზადებული ლობჟანიძე წაექცია. მსაჯის სასტვენი დუმდა.

ბოლოს მერებაშვილმა სცადა ბედი, ორ მცველს დაუსხლტა, მაგრამ თითქმის ზოიძესთან პირისპირ დარჩენილმა წონასწორობა დაკარგა და არაზუსტად დაარტყა.

ამის შემდეგ მასპინძელი სტუმარს დანებდა, გამოცდილებამ და ოსტატობამ თავისი გაიტანა.

გუშინდელმა ავჭალურმა თამაშმა ნახევარფინალისტის ვინაობა ნაადრევად გაარკვია.



„დინამოს" გამარჯვებისა გიორგი ანჩაბაძემ (მარჯვნივ) გაიტანა

# გურიამ ყინჩად წააგო

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 500 (ტევადობა 22 000). 6 მარტი. 15 საათი

## გურია 0:2 ტორპედო

0:1 იონანიძე (9), 0:2 ჩილვინიძე (83)
მე-9 წუთზე იონანიძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

| | |
|---|---|
| გურია: ჩომახიძე, ჟვანია, განდეგა, მ. სალუქვაძე (კოტრიკაძე 51), ფიცურია, ქიქავა, ლ. ჩხაიძე, ხუნაშვილი, კიკაჩეიშვილი (გოგა ამანიშვილი 46), გალდავა (წოწორიაშვილი 63), ნარიმანიშვილი. სათადარიგონი: ქადარია, გიორგაძე, გოჩა იმნაიშვილი. მწვრთნელი: რამაზ დოლიძეშვილი | ტორპედო: ტოგონიძე (სხულუხია 46), ჩიხრაძე, ხეჟიშვილი, ქუთათელაძე, დიდავა, ახალკაცი, გამეხარდიშვილი, ანაიანი (ოქროპირიძე 46), ზ. ქუთათელაძე, ბაბუნაშვილი, იონანიძე (ჩილვინიძე 70). სათადარიგონი: ძიძავაშვილი, პოროშინი, თოდუა, რაფეიშვილი. მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი |

გაფრთხილება: ჩომახიძე (30)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. დოლიძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ჯარიმა: 15-18; კუთხური: 5-5; კარისკენ დარტყმები: 4-4; კარში დარტყმები: 0-8; თამაშგარე: 0-4

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

**დიდი მტკიცება** არ უნდა იმას, რომ ამ წყვილში გამარჯვებულის ვინაობა მაშინ გაირკვა, როცა ფეხბურთის ფედერაციაში მეოთხედფინალის კენჭისყრა მოეწყო. მაშინაც ცხადი იყო, ქვეყნის ჩემპიონის სათასო გზიდან ჩამოცილებას „გურია" ვერაფრით მოახერხებდა. მით უმეტეს, ახლა, როცა გურულების საქმე ისე წავიდა, თასი კი არა, დიდი შანსია, უმაღლესი ლიგა სანატრელი გაუხდეს.

ასეა თუ ისე, ბევრის გასაკვირად გუშინ საკმაოდ ჯიგრიანი ბურთაობა გაუმართეს გურულებმა სტუმრებს. მართალია, „ტორპედომ" ორბურთიანი სხვაობით იმარჯვა, მაგრამ ისე იოლად არა, როგორც მოელოდნენ. ბათუმში ყოვლად უსახური თამაშისგან განსხვავებით, „გურიას" ახალბედები საკმაოდ მოლონიერებულნი ჩანდნენ. ამას ისიც მოწმობს, რომ მათ სტუმართა სათამაშო ტემპს ბოლომდე გაუძლეს და ის კი არა, მეორე ტაიმში ბურთი ისე ყინჩად გააგორ-გამოაგორეს, გაგიკვირდებოდათ.

თუმცა იმ დროისთვის იმერლებს საქმე, ფაქტობრივად, მოთავებული ჰქონდათ და ადრეული გოლის ხარჯზე დაწინაურებულნიც იყვნენ. მე-9 წუთზე ახალკაცმა მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შორეულ ძელთან ჩაჰკიდა ბურთი, მას ქუთათელაძე კი წაეპოტინა, მაგრამ ახტომა და თავის დარტყმა ქიქავამ აღარ დააცადა — უკნიდან უბიძგა მოიერიშეს. ანიაშვილმა პენალტი, ბრძანა. მართალია, იონანიძემ ჩომახიძეს თერთმეტმეტრიანი ვერ გაუტანა, მაგრამ მოგერიებულს თავად მოუსწრო და ანგარიშიც გახსნა.

საკმაოდ გახსნილი ფეხბურთი გაჩაღდა. ძოძუაშვილმა თავის შეგირდებს თავისუფალი ქმედების საშუალება მისცა. ამიტომაც იყო, გურულები ბურთს ხშირ შემთხვევაში რომ აკონტროლებდნენ, მაგრამ მეტოქის ორგანიზებული უკანა ხაზის გარღვევა რეალურად ერთხელაც ვერ მოახერხეს.

მართალია, „ტორპედომ" სათამაშო უპირატესობა მეტოქეს დაუთმო, მაგრამ შიგადაშიგ საკმაოდ მწვავე კონტრიერიშებისთვისაც იცლიდა. ამას მასპინძელთა დაცვის შეუთანხმებელი თამაშიც ემატებოდა და რამდენჯერმე რეალური საგოლე შანსიც შეუქმნათ სტუმრებს. ჩომახიძის მეორედ დამწუხრება ქუთათელაძეს, ახალკაცსა და დიდავას მართებდათ, მაგრამ გოლი ოფიციალურ შეხვედრაში პირველად მოთამაშე ჩილვინიძემ მიითვალა.

ფეხბურთი. არმაზი. 500 (ტევადობა 3 000). 6 მარტი. 15 საათი

## ვიტ ჯორჯია 1:0 გორდა

1:0 მელქაძე (90)

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე (მამარდაშვილი 46), არეშიძე (ზაზაშვილი 46), ანწ კორცელი, ჯ. მუჯირი, ო. გველესიანი, ლ. ნოზაძე, გოჩაშვილი, ზ. მეტრეველი, ადამია, წუწუნავა (იაშვილი 73), მელქაძე
სათადარიგონი: სანიკიძე, გოცირიძე, თუთარაშვილი
მწვრთნელი: ვეფხია გვენცაძე, ზურაბ ბერიძე

გორდა: ბათიაშვილი, ლაშა სილაგაძე, ბერიძე, ქანკოტაძე, მონასელიძე (ლ. ხმალაძე 76), ებრალიძე, ზ. ლაბაძე (ალადაშვილი 78), მელაძე, ჯელაძე, გოლერძიშვილი (თაქტირიძე 86), ხუროძე
სათადარიგონი: ბეჟიაშვილი, ზვ. ლაბაძე, კოჭლამაზიშვილი, ბუკია
მწვრთნელი: თენგიზ კაცია

გაფრთხილებები: სილაგაძე (7), ბერიძე (56)

გაძევება: ალადაშვილი (90)

მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

ჯარიმა: 20-17; კუთხური: 7-3; კარისკენ დარტყმა: 9-9; კარში დარტყმა: 9-1; თამაშგარე: 10-3

# გოლი და პროვოკაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა



მატჩის დასასრულს მეტოქეებმა ერთმანეთისკენ გაიწიეს

**პაატა კვანტალიანი მცხეთიდან**

**სათასო** მეოთხედფინალის პირველ მატჩში „გორდამ" ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწია „ვიტ ჯორჯიას". 90 წუთი მშრალად შეინახეს კარი რუსთაველებმა და საპატიო ანგარიშითაც გაბრუნდებოდნენ შინ, მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო წუთზე უყურადღებობა რომ არ გამოეჩინათ...

შეხვედრის დაწყების წინ გუნდებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს „გორდას" საპატიო პრეზიდენტ თემურ ბეილიაშვილის ხსოვნას. შავი სამკლავურით მოთამაშე სტუმრები თავიდანვე მედგრად დაუდგნენ ვიტელებს, თუმცა ჯერაც უთავკაცო „ვიტ ჯორჯიამ" პირველმა შეძლო სახიფათო მომენტის შექმნა — მუჯირის კუთხურისას ადამიამ გაისროლა ოციოდე მეტრიდან და თავგანწირული ვარდნით მონასელიძემ გადაუღობა გზა კარში შემავალ ბურთს. ვალში არც სტუმრები დარჩენილან და ლაბაძის ჩაწოდებული ბურთი თავით ჩაავდო საჯარიმოში ტანმორჩილმა გოლერძიშვილმა, იქ კი ვარდნაში ხუროძეს გაუცუდდა დარტყმა.

მე-14 წუთზე კი „გორდა" გოლს გადაურჩა. მელქაძის შორეული დარტყმა ბათიაშვილის კარის ჯვარედინმა უკუაგდო, დამატებულზე ისევ მელქაძემ დაასწრო ყველას, მაგრამ კარის ჩარჩოში ვერ მოახვედრა ბურთი. ოთხი წუთის შემდეგ მელქაძესვე ჰქონდა საგოლე შანსი, როდესაც მუჯირის ჩაწოდებულს მაკრატელა შეაგება, მაგრამ ისევ აუცდა.

მერე რუსთაველებმა ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა და თამაშის გათანაბრება შეძლეს. სტუმრები შესაძლებლობისთანავე შორეული დარტყმებით ცდილობდნენ სარგებლის ნახვას და ერთი-ორჯერ ჯელაძემ გვარიანადაც ანერვიულა მასპინძლები. 23-ე წუთზე კი მეტოქის საჯარიმოს მარცხენა კუთხესთან ჩაგდებული ბურთი გოლერძიშვილმა ძირს დაუშვებლად დაარტყა კარში და ჭურაძეს ცხრიანში გაფრენილი ბურთისთვის ხელი რომ არ წაეკრა, ანგარიშიც გაიხსნებოდა. მომდევნო ხუთწუთიან მონაკვეთში გუნდებმა თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს. ჯერ მელქაძემ დაასვა თავზე ბურთი წუწუნავას, მაგრამ საჯარიმოში უდროესად ხელსაყრელ სიტუაციაში დარჩენილმა ფორვარდმა საჩუქარი ვერ შეირგო, მერე კი ლაბაძე-ხუროძის ორსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის მეკარესთან პირისპირ გასვლით გაგრძელდა, მაგრამ ჭურაძემ დასწრებაზე ივარგა, თუმცა მეტოქესთან შეჯახებისას დაშავდა და მეორე ტაიმში მისი ადგილი დავით მამარდაშვილმა დაიკავა.

მთავარი ამბები სწორედ მეორე ნახევარში დატრიალდა. „გორდას" მშვიდად მიჰყავდა მატჩი სასურველი ფრისკენ. დაცვაში, ხაზზე მწყობრი თამაშით რუსთაველები ხშირად ტოვებდნენ თამაშგარედ მეტოქეს, სტუმრები შუა ხაზშიც საიმედოდ იგებდნენ. საჭიროებისამებრ ბურთსაც იჭერდნენ და ზუსტი პასებითაც ამარაგებდნენ ერთმანეთს, ეგ არის, შეტევაში მოიკოჭლებდნენ და თერამეტიოდე მეტრიდან სილაგაძის მოულოდნელად გასროლილს თუ არ ჩავთვლით, საგოლე შანსი ფაქტობრივად არც მისცემიათ.

ის იყო, მსაჯის მიერ დამატებული დროის ათვლა დაიწყო, რომ სტუმრებს მარცხენა ფლანგზე ჩაეძინათ და ზაზაშვილის ფლანგური შეტევა გამოეპარათ, ამის ჩაწოდებულზე ყველას არცთუ ურიგო ფორმაში მყოფმა მელქაძემ დაასწრო და თავით გამარჯვებისა გაიტანა. საფინალო სასტვენამდე რუსთაველებმა ერთი შეცდომა კიდევ დაუშვეს და შეცვლაზე შესულმა ალადაშვილმა წითელი ბარათი გამოსტყუა ორდენიძეს. იქვე გუნდური ჩხუბიც ატყდა, რომელიც მელქაძის პროვოცირებული იყო. საბედნიეროდ, ფეხბურთელებმა მალევე შეძლეს ემოციების მოთოკვა.

# გოჩა ტყებუჩავა: ვერ გავიგე, რა სპექტაკლი იყო

*განახლდა თუ არა მეცამეტე ეროვნული, პირველი სენსაციაც გამოცხვა — სადებიუტო ოფიციალური მატჩის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა გუნდიდან წავიდა.*

*ქუთაისის „ტორპედოსთან" 0:3 წაგების შემდეგ ტყებუჩავა თავისი ნებით გადადგა — ასეთი იყო კლუბის ხელმძღვანელობის განმარტება. მწვრთნელი რამდენიმე დღე დუმილს არჩევდა, გუშინ კი „სარბიელთან" გულის პირი მოხსნა.*

*მაშ ასე, **გოჩა ტყებუჩავა** და მისი არგუმენტები, რიტორიკა, დასკვნები და თამამი საუბარი...*



**— რატომ გადადექით პირველივე წარუმატებლობის შემდეგ, შინ „ტორპედოსთან" დიდი ანგარიშით დამარცხებამ შეგაშინათ და ხელი ჩაიქნიეთ?**

— მარცხს ნამდვილად არ შევუშინებივარ. მატჩის შემდეგ საჭიროდ ჩავთვალე, კლუბის პრეზიდენტთან მივსულიყავი და მესაუბრა მასთან იმაზე, თუ რამ გამოიწვია ასეთი შედეგი. შევედი თუ არა კაბინეტში, მყისვე შევნიშნე, რომ ძალიან აღელვებული იყო, სახეზე ფერი არ ედო და მეც უმალ ვუთხარი — რაშია საქმე, თუ გნებავთ, ახლავე გადავდგები-მეთქი. მან კი მიპასუხა, ეს შენი გადასაწყვეტია, თუ წასვლა გინდა, წადიო. ჰოდა, იქვე ვუთხარი, თუ ეგრეა, მაშინ წავალ-მეთქი.

**— კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძეს რომ ეთქვა, თქვენი გაშვება არ მსურსო, როგორ მოიქცეოდით?**

— საქმე ისაა, რომ მისგან ასეთ რეაქციას არ ველოდი. როცა გურამ რუხაძემ გუნდი ჩამაბარა, მითხრა, მხოლოდ ამ სეზონის შედეგებზე არ გაპირებთ გათვლას, მომავლისთვის უნდა გავაკეთოთ გუნდიო. ისიც კი ითქვა, თუ ზეექსეულში ვერ მოვხვდებით, ეს კატასტროფა სულაც არ იქნებაო. ერთი სიტყვით, კლუბის პრეზიდენტი დიდ თანადგომას მპირდებოდა.

**— ესე იგი, მიგაჩნიათ, რომ მან შეხედულება შეიცვალა? რატომ, რა იყო ამის მიზეზი?**

— არის რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც თანდათან დაგროვდა. ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიცაა, რომ ვიღაც-ვიღაცეები არ ჩავრიე ჩემს საქმეში. აგრეთვე შეკრებაზე ჩატარებულ მატჩებში „ვიტ ჯორჯიას" არ ჰქონდა შთამბეჭდავი შედეგები, მაგრამ მე ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, საკონტროლო თამაშები გუნდის და ფეხბურთელების კარგად გასაცნობად მჭირდებოდა.

**— ანთალიაში შეკრებაზე მყოფ „ვიტ ჯორჯიას" კლუბის დირექტორატის წარმომადგენლებიც ახლდნენ?**

— დიახ, დირექტორი მალხაზ კაკურიძე და დირექტორატის წევრი დავით ფირცხალაიშვილი.

**— და მათი მხრიდან იყო მცდელობა, თქვენს საქმიანობაში ჩარეულიყვნენ?**

— ამას კატეგორიულად ვერ ვიტყვი, მაგრამ მცდელობა ასე თუ ისე, მაინც იყო, რასაც არ ვეგუებოდი და ყველაფერი ეს, ალბათ, გურამ რუხაძის ყურამდე მიდიოდა. ერთხელ დირექტორატის ამ წევრებს გუნდის თეორიული მეცადინეობისას ბოდიშის მოხდით ვთხოვე, მწვრთნელები და ფეხბურთელები მარტონი დავეტოვებინეთ.

**— ზოგადად რა ვითარება იყო გუნდში?**

— ნორმალური, ფეხბურთელებმა კარგად მიმიღეს, გვერდში დამიდგნენ. როცა დისციპლინის დარღვევისთვის ჯარიმები დავაწესე, ბიჭებმა ეს სწორად გაიგეს. ვცდილობდი, იმ ტაქტიკით ეთამაშა „ვიტ ჯორჯიას", როგორითაც ევროპაში თამაშობენ. რაც მსურდა, ფეხბურთელებმა ის ბოლომდე ვერ აითვისეს, მაგრამ ყველაფერ ამას ხომ დრო სჭირდება.

**— შეკრებიდან რომ დაბრუნდით, შეხვდით გურამ რუხაძეს?**

— ცხადია, ვუთხარი, ტყუილად ნურავინ ეცდება, ჩემს საქმეში არავის ჩავრევ, მხოლოდ თქვენ ჩაგაყენებთ საქმის კურსში, როგორც კლუბის პრეზიდენტს-მეთქი. მან მიპასუხა, არანაირი პრობლემა არ იქნება, მწვრთნელის საქმეში არც არავინ ჩაერევაო, მაგრამ...

**— მაგრამ მაინც სურდა ეს?**

— რა ვიცი, ასე მგონია, ხელს აძლევდა.

**— რატომ?**

— ალბათ, აინტერესებდა ბევრი რამ, რაც გუნდში ხდებოდა და ისიც, რა ტაქტიკით ვითამაშებდით.

**— ესე იგი, თქვენს მიერ არჩეული სათამაშო სტილი კლუბის ხელმძღვანელობის განსჯის საგანი იყო?**

— იყო იმაზე ლაპარაკი, რომ გუნდი ჩემს მიერ არჩეული ტაქტიკით ვერ ითამაშებდა, მაგრამ მიმაჩნდა, რომ რახან იქ მე მივედი, გუნდმა ჩემი შეხედულებების მიხედვით უნდა ითამაშოს. ეს რთული ფეხბურთია, მაგრამ სამომავლოდ გამოსადეგი — ფეხბურთელებს ვეუბნებოდი, თუ ჩემს დავალებებს და მითითებებს შეასრულებთ, ნებისმიერ გუნდს დავშლით-მეთქი.

**— გიორგი ადამიას პლეიმეიკერად გამწესებამ მწვავე კამათი გამოიწვია. კლუბშიც იყო ამაზე ლაპარაკი?**

— ითქვა, რომ ადამია ამ პოზიციაზე ვერ ითამაშებდა, მაგრამ გოგობერიშვილის წასვლის შემდეგ ვიღაცას ხომ უნდა ეთამაშა ნახევარდაცვის ცენტრში. ჰოდა, მეც ადამია ვარჩიე.

**— თქვენგან მოითხოვდნენ, რომ ის სხვა პოზიციაზე გაგეშწესებინათ?**

— მოთხოვნა არ ყოფილა, მაგრამ სიტყვა კი ჩამომიგდეს. სხვა ფეხბურთელებზეც იყო მსგავსი ლაპარაკი, მაგრამ მე მაინც ჩემი გამქონდა.

**— პირობებით კმაყოფილი იყავით „ვიტ ჯორჯიაში"?**

— გუნდის სათანადო ეკიპირება მოვითხოვე და ეს მართლაც მაქსიმალურად კარგად გააკეთა კლუბის ხელმძღვანელობამ. უცხოური შეკრებაც მოგვიწყვეს, რითაც მთლად კმაყოფილი არ ვიყავი. ანთალიაში, ჩვენ რომ გავჩერდით, იმ სასტუმროში, დამსვენებლებიც იყვნენ — ხმაური, მუსიკა, დისკოთეკა... ფეხბურთელები სრულფასოვნად ვერ ისვენებდნენ. ძნელია, ასეთ დროს მოთამაშე ერთ ადგილას გააჩერო. სავარჯიშო მინდორიც არ ვარგოდა და როცა მოედნისკენ მივდიოდით, გზად ნუდისტური პლაჟის გავლა გვიწევდა.

გუნდიდან რომ მივდიოდი, გურამ რუხაძემ მითხრა, მე შენ ყველაფერი გაგიკეთეო. ამაზე ჩემი აზრი მაქვს — ეკიპირება ჩემთვის კი არა, გუნდისთვის იყო საჭირო. გუნდს თავისი სახე უნდა ჰქონდეს და მის თითოეულ წევრს ერთნაირად უნდა ეცვას. შეკრებაც ჩემთვის კი არა, „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებისთვის მოეწყო. თანაც ანთალიაში წასვლა გუნდში ჩემს მისვლამდე იყო დაგეგმილი.

და საერთოდ, არ ველოდი, რომ ჩემს შეკითხვაზე, თუ გნებავთ ახლავე დავტოვებ გუნდს-მეთქი, ასეთ პასუხს მივიღებდი. ხომ შეიძლება, რომ მეც ვიყო ემოციური კაცი და უცებ მივახალო, თუ ეგრეა, გუნდიდან წავალ-მეთქი. განა სხვა გუნდებში არ ხდება მსგავსი რამეები? პრეზიდენტს რომ ნდომოდა, სულ თავისუფლად შეეძლო ჩემი გუნდში დატოვება. გურამ რუხაძე კაცის გაშვება-მიღებაში საკმაოდ გამოცდილი პიროვნებაა.

**— ნანობთ თქვენს საქციელს?**

— არა, რადგან მივხვდი, რომ ჩემი იქ ყოფნა არ სურდათ.

**— მაშინ რისთვის მიგიწვიეს გუნდში?**

— არ ვიცი, ეს რა სპექტაკლი იყო — შესაძლოა, კლუბის პრეზიდენტმა იფიქრა, რომ ბიჭები გოჩა ტყებუჩავას მიერ შეთავაზებულ ფეხბურთს ვერ ითამაშებენ და საერთოდ არ ჩავფლავდეთო.

**— თქვენ რას ელოდით „ვიტ ჯორჯიასგან"?**

— ყოველთვის ვამბობდი, ზეექსეულში შევალთ-მეთქი.

**— მაგრამ „ტორპედოსთან" წაგების შემდეგ–**

— შანსი კიდევ არის, თუ „ვიტ ჯორჯია" ფორმაში მოიგებს, სერიოზული პრეტენზიაც ექნება ზეექსეულისთვის.

**— როგორ შეაფასებდით თქვენი სამწვრთნელო კარიერის ამ ეტაპს?**

— საწყენია, რაც მოხდა, დიდი ენერგია გავიღე, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე, ამას დრო უნდოდა და მე ერთ თვეში ვერ ჩავეტეოდი. ის, რისი გაკეთებაც მსურდა, ძალიან რთულია, გუნდები ამას წლებს ანდომებენ მაგრამ რაკი გურამ რუხაძემ მითხრა მომავალი წლისთვისო...

**— საქართველოში მწვრთნელად აღარ იმუშავებთ?**

— პრობლემები სადაც არის, იქ მუშაობა ძალიან მიჭირს. მაგალითად, „ვიტ ჯორჯიას" მცხეთის გარდა სხვაგან მინდორი არ გააჩნია, თანაც „არმაზი" მოუწყობელია, არ არის ნორმალური სააბაზანო. ცხრა წელი უცხოეთში ვიყავი, მერე თბილისის „დინამოში". და ამის შემდეგ ძალიან გამიჭირდება ცუდ პირობებში მუშაობა.

და კიდევ, ფეხბურთელებს ნორმალური ხელფასი და უკეთესი პრემიები უნდა ჰქონდეთ, ამაზე მარტო „ვიტ ჯორჯიას" კი არა, ყველა კლუბის პრეზიდენტმა უნდა იზრუნოს.

**— და მაინც, თქვენ „ტორპედოსთან" 0:3-ზე წაგებული, ძალიან უსახური მატჩის შემდეგ წახვედით გუნდიდან. რას დააბრალებთ „ვიტ ჯორჯიას" ასეთი უნიათო თამაშს იმ შეხვედრაში?**

— ალბათ, ბიჭები არ მიწყენენ და მე მათ თამაშის შემდეგ უსუსურები ვუწოდე. შეკრებაზე წაგებული თამაშებიც კი მათ ასე ცუდად არ უთამაშიათ. მე, როგორც მწვრთნელი, პასუხისმგებლობას არ ვიხსნი, მაგრამ ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდი. თამაშის წინ ბიჭები ბრძოლის იმეტაზე იყვნენ, მაგრამ მინდორზე გასვლის შემდეგ ყველაფერი 180 გრადუსით შეტრიალდა. ჩემი ერთადერთი შეცდომა კი ის იყო, რომ ვიღაც-ვიღაცეებს არ დავუჯერე და „ვიტ ჯორჯიაში" მუშაობა გადავწყვიტე.

**დავით თავართქილაძე**



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — დერბი ქაუნთი. ლონდონელი ტიერი ანრი ისე გაირჯა, თითქოს ტრავმა არც ჰქონოდა

# პრემიერლიგაში ცხოვრება ძნელია

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXIX ტური

**არსენალი 1:0 დერბი ქაუნთი**

1:0 პირესი (69)

არსენალი: სიმენი, ლუჟნი (დიქსონი 46), ს. კემპბელი, სტეპანოვსი, პარლორი, ვიეირა, პირესი, ლორენი, ვილტორდი (ედუ 80), ანრი, ბერხკამპი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, ზავაგნო, უ. ბარტონი, ბოერტიენი, ლი (ონილი 55), ძინძლაძე (გრენე 54), კრისტი, ლ. მორისი, შტრუპარი (ვალაკარი 68)

მწვრთნელი: ჯონ გრეგორი

გაფრთხილება: ლი, პარლორი, ონილი

მსაჯი: ბარბერი

38 878 მაყურებელი

**ბლექბერნი 3:0 ასტონ ვილა**

1:0 დანი (7), 2:0 დაფი (85), 3:0 კოული (89)

ბლექბერნი: ფრიდელი, ბერგი, მ. ტეილორი, ჯ. ჯონსონი, ჯ. ფილბოლი (მ. ტეილორი 57), დ. დანი, დაფი, თუგაი (გილესპი 65), ფლიტკროფტი, ნაილი, ენდი კოული, იანსენი (ჰიუზი 60)

მწვრთნელი: გრემ სუნესი

ასტონ ვილა: შმაიხელი, მ. დილანი, ჯ. სამუელი, მელბერგი, სტონტონი, ჰიცლსპერგერი (ლ. ჰენდრი 46), ბერი, ბოზი (მერსონი 46), ჯ. ბოატენგი, ა. ანხელი (ბალაბანი 72), ვასელი

მწვრთნელი: გრემ ტეილორი

გაფრთხილება: ბოატენგი, ჯონსონი, დილანი

მსაჯი: ბენეტი

21 988 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:0 ბოლტონი**

1:0 მაკატირი (42)

სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, დ. უილიამსი, კრადოკი, მაკკარტნი, გრეი, მაკატირი, შვარცი, კილბეინი, ფილიპსი, მბოძე (ნ. ქუინი 90)

მწვრთნელი: პიტერ რიდი

ბოლტონი: იააკელაინენი, ნგოტი, ბერგსონი, უიტლოუ (ბერნესი 46), სოუთოლი, ტოფტინგი, ვარჰურსტი (ქაპარტერი 67), გარდნერი, ჯონსონი, რიკეტსი (მოლდესუორთი 56), უოლესი

მწვრთნელი: სემ ოლარდისი

გაფრთხილება: შვარცი, რიკეტსი, ფილიპსი

მსაჯი: პოლი

43 011 მაყურებელი

**შუა კვირაში** წამოწყებული პრემიერლიგის მორიგი ტურის სამი მატჩი სამშაბათ საღამოს გაიმართა და სამივეში მასპინძლებმა გაიმარჯვეს, თან ისე, რომ სტუმრებმა გოლიც კი ვერ გაიტანეს.

„ჰაიბერიზე“ „არსენალმა“ მძიმე თამაშში სძლია „დერბის“. შეხვედრის ერთადერთი გოლი რობერ პირესმა გაიტანა 69-ე წუთზე. ამ მოგებით მეთოფენი თამაშების ოდენობით დაეწიენ „მანჩესტერ იუნაიტედს“, ორი ქულით კი გადაუსწრეს და ცხრილს სათავეში მოექცნენ; ეგებ ერთი დღით, მაგრამ მაინც ცხრილის სათავეში აღმოჩნდნენ.

ამასობაში „ბლექბერნმა“ 3:0 მოუგო „ასტონ ვილას“ და ბოლოდან მესამე ადგილზე კი დარჩა, მაგრამ თითქმის წამოეწია „ბოლტონს“, რომელმაც 0:1 წააგო სანდერლენდში და ბლექბერნელებზე თამაშით მეტიც აქვს. „დერბი“ ბოლოდან მეორეზე დარჩა.

„დერბი“, რომელსაც წლეულს მხოლოდ 7 ქულა მოუპოვებია სტუმრად, თავგანწირვით იბრძოდა, თუმცა „არსენალს“ თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვია და მწყობრში დაბრუნებულ ტიერი ანრის ადრევე შეეძლო გატანა.

„ჩვენ ოდნავ ნელა ვირჯებოდით და ამიტომაც გაგვიჭირდა“ — თქვა მეთოფეთა მენეჯერმა არსენ ვენგერმა.

„ბლექბერნმა“ კი ნაძლვილი რბევა მოუწყო ბირმინგემელებს. უკვე მეშვიდე წუთზე დევიდ დანმა საუცხოო დარტყმით გაუტანა პიტერ შმაიხელს. მასპინძელთა ნერვიული შეტევები მაშინღა ჩაწყნარდა, როცა დემიენ დაფმა მეორე გაიტანა. ეს იყო თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე.

შეხვედრის ბოლომდე აღარაფერი რჩებოდა, როცა ენდი კოულმა საზრიანად აართვა ბურთი საჯარიმოდან გამოვარდნილ და თავით კენწლვის წამომწყებ შმაიხელს და გოლები გაასამა.

მასპინძელთა მენეჯერი გრემ სუნესი გახარებული იყო: „ჩვენი გუნდი გავარდნას არ იმსახურებს. ეს დღესაც დამტკიცდა“.

სანდერლენდში კი შეხვედრის ერთადერთი გოლი ჯეისონ მაკატირმა გაიტანა, რითაც კიდევ უფრო დაამძიმა ბლექბერნელთა ლანკაშირელი მეზობლების, ბოლტონელების ცხოვრება პრემიერლიგაში.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 29 | 17 | 9 | 3 | 58:31 | 60 |
| მანჩესტერი | 29 | 18 | 4 | 7 | 69:37 | 58 |
| ლივერპული | 29 | 16 | 8 | 5 | 47:25 | 56 |
| ნიუკასლი | 28 | 17 | 4 | 7 | 52:35 | 55 |
| ლიდსი | 28 | 11 | 12 | 5 | 37:29 | 45 |
| ჩელსი | 27 | 11 | 11 | 5 | 47:28 | 44 |
| ასტონ ვილა | 29 | 10 | 11 | 8 | 34:34 | 41 |
| ტოტენჰემი | 27 | 11 | 5 | 11 | 39:36 | 38 |
| ჩარლტონი | 28 | 9 | 10 | 9 | 32:33 | 37 |
| ფულემი | 28 | 8 | 11 | 9 | 27:31 | 35 |
| საუთჰემპტონი | 28 | 10 | 4 | 14 | 34:42 | 34 |
| მიდლსბრო | 28 | 9 | 7 | 12 | 27:35 | 34 |
| სანდერლენდი | 29 | 9 | 7 | 13 | 23:33 | 34 |
| ვესტ ჰემი | 28 | 9 | 7 | 12 | 31:44 | 34 |
| ევერტონი | 28 | 7 | 9 | 12 | 27:34 | 30 |
| იფსვიჩი | 27 | 8 | 6 | 13 | 35:43 | 30 |
| ბოლტონი | 29 | 6 | 12 | 11 | 31:44 | 30 |
| ბლექბერნი | 28 | 7 | 8 | 13 | 36:37 | 29 |
| დერბი ქაუნთი | 29 | 7 | 5 | 17 | 23:46 | 26 |
| ლესტერი | 28 | 3 | 8 | 17 | 18:50 | 17 |

### I დივიზიონი. XXXVIII ტური

**ბირმინგემი 1:2 მანჩესტერ სიტი**

1:0 მ. ჯონსონი (4), 1:1 იჰმენი (43), 1:2 ჰორლოკი (68)

**კრიუ 2:0 ბარნსლი**

1:0 ეშტონი (42), 2:0 სტრიტი (90)

**კრისტალ პალასი 0:0 პორტსმუთი**

**ჯილინგემი 2:1 გრიმსბი**

0:1 ბულდონგი (20), 1:1 შოუ (45), 2:1 იპუა (55)

**მილუოლი 2:1 პრესტონი**

1:0, 2:0 კლარიჯი (29, 65), 2:1 მელი (84)

**ნორვიჩი 0:0 როტერჰემი**

**სტოკპორტი 1:0 ბრედფორდი**

1:0 ბექეტი (11)

**უოლსოლი 1:0 ბარნსლი**

1:0 მარსელო (53)

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 უოტფორდი**

0:1 ბრაუნი (51), 1:1 დიჩიო (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 37 | 23 | 7 | 7 | 66:31 | 76 |
| სიტი | 36 | 23 | 5 | 8 | 84:45 | 74 |
| ვესტ ბრომვიჩი | 38 | 20 | 7 | 11 | 45:26 | 67 |
| მილუოლი | 37 | 18 | 10 | 9 | 58:38 | 64 |
| ბარნლი | 37 | 17 | 10 | 10 | 58:50 | 61 |
| ქოვენთრი | 37 | 18 | 5 | 14 | 55:39 | 59 |
| კრისტალ პალასი | 38 | 18 | 4 | 16 | 65:55 | 58 |
| ნორვიჩი | 37 | 17 | 7 | 13 | 49:45 | 58 |
| ბირმინგემი | 36 | 16 | 8 | 12 | 52:42 | 56 |
| პრესტონი | 37 | 15 | 11 | 11 | 55:49 | 56 |
| ჯილინგემი | 37 | 14 | 8 | 15 | 53:56 | 50 |
| უოტფორდი | 38 | 13 | 10 | 15 | 53:46 | 49 |
| შეფილდი | 36 | 12 | 13 | 11 | 41:41 | 49 |
| უიმბლდონი | 35 | 12 | 12 | 11 | 49:44 | 48 |
| ნოტინგემი | 37 | 11 | 15 | 11 | 40:35 | 48 |
| პორტსმუთი | 37 | 12 | 10 | 15 | 52:61 | 46 |
| ბრედფორდი | 36 | 13 | 6 | 17 | 60:64 | 45 |
| როტერჰემი | 38 | 10 | 14 | 14 | 46:56 | 44 |
| კრიუ | 34 | 11 | 8 | 15 | 35:54 | 41 |
| უენსდი | 37 | 10 | 10 | 17 | 41:60 | 40 |
| ბარნსლი | 38 | 8 | 14 | 16 | 50:72 | 38 |
| გრიმსბი | 38 | 9 | 11 | 18 | 36:60 | 38 |
| უოლსოლი | 38 | 9 | 9 | 20 | 39:61 | 36 |
| სტოკპორტი | 37 | 3 | 8 | 26 | 34:86 | 17 |

### II დივიზიონი

38-ე ტური: ბლეკპული — ნორთჰემპტონი 1:2; ბრენტფორდი — სუონსი 2:0; ბრაიტონი — უიკომბი 4:0; ბერი — ოლდემი 1:1; კარდიფი — ქუინზ პარკი 1:1; ჩესტერფილდი — ჰადერსფილდი 1:1; კოლჩესტერი — სტოკი 1:3; პიტერბორო — ნოტსი 0:1; პორტ ვეილი — რექსემი 1:3; რედინგი — ბორნმუთი 2:2; ტრანმერი — ბრისტოლი 1:0; უიგანი — კემბრიჯი 4:1

### III დივიზიონი

38-ე ტური: სკანთორპი — ტორკი 1:0; დარლინგტონი — მაკლსფილდი 0:1; როჩდეილი — ჩელტენჰემი 1:2; კარლაილი — საუთენდი 0:0; ჰალიფაქსი — როჩდეილი 1:2; ჰარტლპული — ლინკოლნი 1:1; ჰალი — მენსფილდი 4:1; ლუტონი — ლეიტონი 3:0; ოქსფორდი — კიდერმინსტერი 1:1; პლიმუთი — იორკი 1:0; რაშდენი — ექსეტერი 2:1; შრიუსბერი — სუონსი 3:0



REUTERS მარსელიდან

მარსელელი იბო და ოსერელი ხალილუ ფადიგა წვიმამ გააქცია

# ბოსის ზრდილობა წვიმამ წაშალა

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXVIII ტური

**მარსელი — ოსერი**

1:0-ზე ავდრის გამო მატჩი ჩაიშალა

**მარსელში**, საქმეში ბუნება ჩაერია. ისეთი წვიმა მოვიდა, რომ მსაჯი იძულებული შეიქნა, მატჩი შეეწყვიტა. ეს თამაშის 57-ე წუთზე მოხდა. მანამდე მასპინძელ პიოტრ სვიერჩევსკის, 35-ე წუთზე, ერთი უკვე გაეტანა და მარსელელები შეხვედრას იგებდნენ.

ბერნარ ტაპი, „მარსელის“ სპორტული დირექტორი, მეტსახელად „ბოსი“, ატყდა, გინდა თუ არა, თამაში გაეგრძელოთ, წვიმამ როგორ დაგაშინათო, მაგრამ რაკი ყური არავინ უგდო, „ოსერის“ ფეხბურთელები, მწვრთნელ-უფროსიანად გააფრთხილა, — სქელი წვივსაფრები შეიძინეთ, ხელახლა რომ შევხვდებით, მიგანგრევთო. „ოსერის“ პრეზიდენტმა ამის პასუხად, ზრდილობაზე ილაპარაკა.

მატჩის გადატანის გამო, მარსელელთა კაპიტანი ფრანკ ლებეფიც უკმაყოფილო დარჩა, უფრო საშინელ პირობებშიც გვითამაშიაო.

**გაგა ხუციშვილი**

## გერმანია

### თასის ნახევარფინალი

**ლევერკუზენი 3:1დ.დ. (1:1) კიოლნი**

1:0 ცელერი (59ს.კ.), 1:1 სონგი (89), 2:1 ბუკოვიჩი (100), 3:1 ბ. შნაიდერი (114)

გაძევება: დონკოვი (75, „კიოლნი“)

22 500 მაყურებელი

**ბუნდესლიგის** ჩემპიონობის მოსურნე ლევერკუზენის „ბაიერმა“ არჩილ არველაძის „კიოლნს“ დამატებით დროში 3:1 მოუგო და გერმანიის თასის ფინალში გავიდა.

„კიოლნი“ კარგად შეკრული გუნდია და თავის საჯარიმოში არ გვიშვებდნენ —თქვა „ლევერკუზენის“ დამრიგებელმა კლაუს ტოპმიოლერმა მატჩის შემდეგ — ამიტომაც დაგვჭირდა დამატებითი დრო“.

პირველი გოლი 59-ე წუთზე სტუმრებმა საკუთარ კარში გაიტანეს. ლევერკუზენელი თავდამსხმელის ოლივერ ნოივილის დარტყმული ბურთი მცველ მარკ ცელვეგერს მოხვდა და მისგან ასხლეტილი მეკარე პრიოლის კარში შევარდა. ავტოგოლიდან 16 წუთში სტუმრები კაცნაკლულნიც დარჩნენ, მოედანზე 10 წუთის შესული დონკოვი მიხაელ ბალაკს ისე ეუხეშა, რომ წითელი ბარათი აუფრიალეს. თუმცა უმცირესობაში დარჩენილ კიოლნელებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, ძირითადი დროის ბოლოსწინა წუთზე რიგობერტ სონგმა გაათანაბრა.

დამატებითი დრო კი მასპინძელთა დიდი უპირატესობით წარიმართა, მე-100 წუთზე ხორვატი ლეგიონერის ბუკოვიჩის მეორე გოლს, 114-ეზე შნაიდერმა მესამეც დაუმატა და „ლევერკუზენი“ თასს მიუცუცქდა.

**ლუკა გეგეჭკორი**



REUTERS ლევერკუზენიდან

მასპინძელი ზე რობერტო მეტოქეს კი გადაახტა, მაგრამ წონასწორობაც დაკარგა

## შოტლანდია

### ასოციაციის თასი

### 1/4 ფინალი. გადათამაშება

**ინვერნესი (I) 0:1 პარტიკი (I)**

0:1 პატერსონი (68)

### ნახევარფინალის წილისყრა

ეარი (I) ან დანდი იუნაიტედი — სელტიკი; გლაზგო რეინჯერსი — პარტიკი (I)

## ჩეხეთი

### თასის მეოთხედფინალი

ბენეშოვი (III) — სპარტა 1:3; ზლინი (II) — ლიბერეცი 0:0 (პენ.2:3)

12 მარტს: ტეპლიცე — ბოჰემიანსი

სლავია — პრადეც კრალოვე

13 მარტს: მლადა (II) — ოლომოუცი

მოსტი (II) — დრნოვიცე

პრიბრამი — ბრნოს სიგმა — ბანიკი

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მილება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## A ჯგუფი: საფრანგეთი, სენეგალი, ურუგვაი, დანია



**ფართობი:** 196 190 კმ²
**მოსახლეობა:** 9 980 000
**დედაქალაქი:** დაკარი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1960 წელს
ფიფას წევრი 1962 წლიდან
აფრიკის კონფედერაციის წევრი 1963 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** ჰაჯი მალიკ სი ელი
**გენერალური მდივანი:** ოუმარ ნდიაე
**სტადიონი:** „სტად დე ლამიტე“ (60 000)
**მწვრთნელი:** ბრუნო მეტსუ
**კაპიტანი:** ფერდინანდ კოლი
**ფორმა:** მწვანე მაისური, ყვითელი ტრუსი, წითელი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „ჟანა დარკი“, „US გორეე“, „ASC დიარაფი“, „პოლისი“, „დურბელი“, „პორ ატონომი“, „ნდიამბური“, „დუანე“
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 45




### ყოველ ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს წარმოგიდგენთ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნებს



# სენეგალელი ლომები ბრძოლვინვას აპირებენ

**თავდამსხმელი** ოსეინუ ელ ჰაჯი დიუფი ამბობს, რომ სენეგალი მსოფლიოს მოახლოებულ ჩემპიონატზე სიურპრიზის მოსაწყობად ემზადება. თუმცა, ემზადება კი არა, მზად ყოფილა. ერთი სიტყვით, A ჯგუფში ყველაზე სუსტ გუნდად სენეგალის მოხსენიება, როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში აღიზიანებთ და ნელ-ნელა იქადნებიან კიდეც.

მოვუსმინოთ ოსეინუ ელ ჰაჯი დიუფს: „ძალიან ბევრი ადამიანისთვის ჩვენ ფრანგებთან, დანიელებთან და ურუგვაელებთან შედარებით სუსტები ვართ, მაგრამ არ დაგიმალავთ და ასეთი ლაპარაკი ძალიანაც მომწონს. დიახ, როდესაც აუტსაიდერს გეძახიან, დასაკარგი არაფერი გაქვს“.

ეს სიტყვები ფორვარდმა ფრანგულ ჟურნალ „ონზ მონდიალს“ უთხრა, „ონზ მონდიალის“ კორესპონდენტს კი მისი მოძებნა ნამდვილად არ გაუჭირდებოდა, რადგან სენეგალელი „ლანსში“ თამაშობს.

ზემოთ მოყვანილის გარდა ოსეინუ ელ ჰაჯი დიუფმა საკუთარი ძალების რწმენაზეც ილაპარაკა. კერძოდ, ის თვლის, რომ აფრიკის ეროვნებათა თასზე ისტორიაში პირველად თამაშმა მას და მის თანამემამულეებს იმედი ჩაუსახა, რომ ისტორიაში პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშსაც გაართმევენ თავს.

„ვიცი, არის ხალხი, რომელიც ჩვენს გაპამპულებას ელის, მაგრამ მზად ვართ გამოწვევა მივიღოთ. იმდენად ვარ განწყობილი. მე და ჩემმა თანაგუნდელებმა კარგად ვიცით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ჩვენი კარიერის მწვერვალი იქნება. მეტიც, ხანდახან მეჩვენება, რომ საფრანგეთთან გახსნის შეხვედრა ოცნების თუ ზღაპრის სფეროდან არის“.

ასე ფიქრობს ერთი სენეგალელი ფეხბურთელი, მაგრამ ნაკრების წარმატებას, ცხადია, თავისი შემოქმედი ჰყავს და მისი სახელია ბრუნო მეტსუ. იგი ფრანგია, 47 წლისა.

*„ჩელსი", მოსკოვის „ლოკომოტივი" და „პარმა" ის გუნდებია, რომლებიც მორიგეობით აცხადებდნენ უარს თელ ავივში ჩასვლაზე. მოგეხსენებათ, სამივე, ებრაულმა „ჰაპოელმა" გამოთიშა უეფას თასიდან, ახლა კი მეოთხედფინალში იტალიურ „მილანს" ხვდება, მაგრამ...*

„ჰაპოელ" — „მილანის" პირველი მეოთხედფინალური მატჩი 14 მარტს იყო დანიშნული თელ ავივში. იტალიელებიც არ იყვნენ ისრაელში ჩასვლის წინააღმდეგნი. უშიშრად განაცხადეს, ჩვენ ფეხბურთის სათამაშოდ მივდივართ და არა საომრადო. თითქოს ყველაფერიც შეთანხმებული იყო, ებრაელებმა ისიც თქვეს, „ჰაპოელის" სტადიონის ტევადობა მცირეა და უმჯობესი იქნება, მატჩი ეროვნულ, „რამათ განის" 50-ათასიან სარბიელზე ჩავატაროთო...

ახლა კი ყველაფერი საპირისპიროდ შეიცვალა. უეფამ გადაწყვიტა და ბეჭედიც დაარტყა: „ჰაპოელი" — „მილანი" თელ ავივის ნაცვლად, სავარაუდოდ, კუნძულ კვიპროსზე ჩატარდება. ეს ვარიანტი ორივე გუნდს შევთავაზეთ".

მაინც რა მოხდა? ორი დღის წინ თელ ავივის ერთ-ერთ რესტორანში „ჰაპოელის" ნახევარმცველ ლორინ ბისესს ქორწილი ჰქონდა, „ჰაპოელის" მოთამაშეებთან ერთად საგანგებოდ დაპატიჟებული ელიტარული სტუმრებიც იზიარებდნენ ფეხბურთელის ბედნიერებას...

პალესტინელმა ტერორისტებმა ქორწილი არად ჩააგდეს და რესტორანთან ტერაქტი მოაწყვეს, ატეხილი სროლის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა, ბევრიც დასახიჩრდა.

ჰოდა, უეფას გადაწყვეტილებაც გასაკვირი არაა. უგო ალევი, „მილანის" პრესატაშე: „უეფადან ფაქსი მივიღეთ, გვაცნობეს ისრაელში არსებული ვითარება, თელ ავივში ჩასვლაც აგვიკრძალეს, ცხადია, უსაფრთხოების დაცვის მიზნით. შემოგვთავაზეს, „ჰაპოელთან" კვიპროსზე გათამაშებთო. ალბათ, დავთანხმდებით".

თელ ავივში დატრიალებულმა ტრაგედიამ „მილანის" ფეხბურთელებიც აალაპარაკა. მარკო სიმონე: „პირადად მე თელ ავივში არ წავიდოდი. მირჩევნია, შინ დავრჩე, ვიდრე იქ რაიმე უბედურებას გადავეყარო".

სიმონეს ნახევარმცველი დემეტრიო ალბერტინიც ეთანხმება და დასძენს: „მე ისედაც ვერ წავიდოდი, დაგროვებული ყვითლების გამო დისკვალიფიკაცია მაქვს და პირველ თამაშს გამოვტოვებ". აი, სათადარიგო მეკარე სებასტიანო როსი შექმნილ ვითარებას ასე გამოეხმაურა: „ვერ გამიგია, ფეხბურთელებს რას უნდა გვერჩოდნენ. ჩვენი საქმე თამაშია და არა ომი. თუკი „პარმას" არაფერი დაუშავეს, ჩვენ რა უნდა გვიქნან. სადაც გუნდი იქნება, მეც იქ წავალ".

ესპანელი ხოსე მარი უფრო „ბოლონიასთან" საკვირაო მატჩზე ფიქრობს, პრინციპული თამაში გველის, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეოთხე ადგილისთვისო. მწვრთნელი კარლო ანჩელოტი კი შეგირდებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს, მთავარია, „ჰაპოელთან" ფსიქოლოგიურად ვიყოთ მზად, გუნდური ფეხბურთი ვითამაშოთ და „ჩელსის", „ლოკომოტივისა" და „პარმას" მიერ დაშვებული შეცდომები არ გავიმეოროთო.

ამასობაში კი „მილანის" უკვე პრეზიდენტყოფილ სილვიო ბერლუსკონის კიდევ ერთი შესაძლო მემკვიდრის კანდიდატურა დასახელდა. იტალიური გაზეთების ცნობით, აქამდე მათი რიცხვი ხუთი იყო: პიერსილვიო — ბერლუსკონის უფროსი ვაჟი, პაოლო — მისი ძმა, კლუბის ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი, „მილანის" ლეგენდა, ახლა კი კლუბის ერთ-ერთი თანავიცე-პრეზიდენტი ფრანკო ბარეზი და ვინმე პოლიტიკოსი, ფაუსტო ბერტინოტი, რომელიც ბერლუსკონის ოპოზიციონერია, პაოლო ბერლუსკონიმ ხუმრობით მოიხსენია კანდიდატად, გაზეთებმა კი აიტაცეს.

მაგრამ ამ დღეებში მილანში მითქმა-მოთქმაა, „ტახტის მემკვიდრე" 15 წლის ლუიჯინოა, სილვიოს უმცროსი ვაჟი.

ადრიანო გალიანიც ამას ამტკიცებს: „ლუიჯინო მამის მერე „მილანის" ყველაზე დიდი გულშემატკივარია. მართალია, ჯერ ბავშვია, მაგრამ წინ ჩინებული პერსპექტივა ელის, მამის დაწყებული საქმე გადაიბაროს და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდეს კლუბს წარუძღვეს".

**გიორგი გუგაძიძე**



ეს ისრაელია — თამაში საშიშია

პორტუგალია

# პორტუგალია შეიძრა

## ტრაგიკული ტურის ამბები ნაცვლიშვილისგან



ვახტანგ ნაცვლიშვილი

**ტელეკომი 90:95 ოლივეირენში**

**ოლივეირენში: მარსოლინოუ, სეიაში (27), როდერსი, კრებტრი (10), ბუკერუ სტიუარტი (17), ვან ველდუიზენი (16), ლუიშ კოშტა (3), ნაცვლიშვილი (37 წუთი, 22 ქულა, 11 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება), ალეშანდრე**

პორტუგალიის ჩემპიონატის მე-19 ტურში ტრაგედია დატრიალდა. „ავეირო"— „ბენფიკას" მატჩის დროს ბენფიკელ პაოლუ პინტუს, რომელიც ეროვნულ ნაკრებს კაპიტნობდა, წუთშესვენებაზე გული წაუვიდა და საავადმყოფოს გზაზე გარდაიცვალა.

— დიდი ტრაგედია დატრიალდა. პინტუ პორტუგალიის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელად ითვლებოდა და მისმა სიკვდილმა მთელი ქვეყანა შეძრა — გვითხრა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა, როცა მისი გუნდისა და ჩემპიონატის ლიდერ „ტელეკომის" მატჩის ამბების გასაგებად პორტუგალიაში შევეხმიანეთ — პინტუს ახალი გავლილი ჰქონდა სამედიცინო შემოწმება და ჯერჯერობით გაურკვეველია სიკვდილის მიზეზი.

ახლა კი ჩემპიონატზე. როგორც ვთქვით, ქართველის „ოლივეირენშე" ლიდერ „ტელეკომს" სტუმრობდა და ეს მატჩი ორივე გუნდისთვის მეტად პრინციპული იყო: პირველი წრის შეხვედრაში ვატო ნაცვლიშვილის გუნდი შინ დამარცხდა. მაშინ ჩვენებურს დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია. როგორც ვატომ გვითხრა, ახლანდელი შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ბოლოს მასპინძლებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს და დამთავრებამდე 4 წუთით ადრე 15 ქულით დაწინაურდნენ:

— თითქოს უიმედო მდგომარეობა იყო, 15 ქულა ძალიან დიდი ფორაა, თანაც მატჩის დასრულებამდე წუთებიღა რჩებოდა. მეტოქეს დიდი წვალების ფასად დაუჯდა წინ გაჭრა, გადაიღალნენ. ჩვენმა გუნდმა მცირე სასწაული მოახდინა და დარჩენილ 4 წუთში გაათანაბრა კიდეც და 5 ქულითაც დაწინაურდა.

ყველაფერი ოლივეირენშელი კარლოს სიფასის სამქულიანებით დაიწყო. მან მიყოლებით სამი სროლა ჩააგდო და სხვაობა 6 ქულამდე შეამცირა. მისავათებულ-გაოგნებულ ტელეკომელებს წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდათ და ბოლო წუთი რომ დაიწყო, „ოლივეირენშე" 2 ქულასღა აგებდა. აქ კი ქართველის ჯერიც დადგა.

— დამთავრებამდე წუთი რჩებოდა, 2 ქულას ვაგებდით, როცა ბურთი მივიღე და ფარს შევუტიე. ჩავაგდე, თან მოწინააღმდეგე დაჯარიმდა. საჯარიმოდან გუნდი ქულით დავაწინაურე. და[illegible] ჩენილ დროში „ტელეკომმა" ვერაფერი მო[illegible] რხა, განზრახლა ჯარიმდებოდა. ეს გამარჯვება უმნიშვნელოვანესი იყო ჩვენთვის. მართალია, მე-3 ადგილზე დავრჩით, მაგრამ ლიდერთან [illegible] მინიმალურია — გვითხრა ვახტანგ ნა[illegible]

ჩვენი ნაკრების კაპიტანმა 22 ქულის გარდა 11 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 2 პასი და 1 დაფარებაც მიითვალა და ლიგის საუკეთესოთა შორის მეორე საფეხურზე აინაცვლა.

**ირაკლი ბერტაია**

XIX ტური

**ფაია — კელუზი 93:101, ოვარენშე — ქინაზიო 86:82, ლუზიტანია — ბარეირენშე 100:90, ლეირია — მადეირა 56:114, ავეირო — ბენფიკა შეწყდა, ბელენენსეში — ვისტა ალეგრე 87:92, სეიშალი — პორტუ 96:102**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტელეკომი | 19 | 15 | 4 | 1634:1417 | 34 |
| ოვარენსე | 19 | 15 | 4 | 1716:1652 | 34 |
| ოლივეირენშე | 19 | 14 | 5 | 1646:1480 | 33 |
| ვისტა ალეგრე | 19 | 14 | 5 | 1643:1539 | 33 |
| პორტუ | 19 | 13 | 6 | 1740:1642 | 52 |
| ქინაზიო | 19 | 10 | 9 | 1597:1553 | 29 |
| სეიშალი | 19 | 10 | 9 | 1630:1596 | 29 |
| ბარეირენსე | 19 | 9 | 10 | 1704:1758 | 28 |
| კელუზი | 19 | 9 | 10 | 1660:1729 | 28 |
| ლუზიტანია | 19 | 8 | 11 | 1632:1681 | 27 |
| ავეირო | 18 | 9 | 9 | 1634:1581 | 27 |
| ბენფიკა | 18 | 9 | 9 | 1611:1489 | 27 |
| მადეირა | 19 | 7 | 12 | 1697:1666 | 26 |
| ბელენენსეში | 19 | 3 | 16 | 1636:1806 | 22 |
| ლეირია | 19 | 3 | 16 | 1447:1674 | 22 |
| ფაია | 19 | 3 | 16 | 1447:1758 | 22 |

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# გრძნობათა კალათი

## აქეთ შაკი დაილოცა, იქით ჰაკი ადიდეს



შაკი, ტორტი და გოგონები

5 მარტი

**დეტროიტი 91:93 მაიამი**

**დეტროიტი: ეტკინსი (17), სტეკჰაუზი (22), კარი (2), რობინსონი (13), ვოლესი (6 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი, 5 დაფარება, 4 ჩაჭრა); უილიამსონი (15), ბერი (10), დ. ჯონსი (6), რებრაჩა**

**მაიამი: სტრიკლენდი (9), ე. ჯონსი (24), გილი (6), გრანტი (16 ქულა, 15 მოხსნა), მურნინგი (18 ქულა, 14 მოხსნა); ჯეკსონი (7), კარტერი (6), ბუტლინგი (4), სტეფანია (10 წუთი, 3 ქულა, 2 მოხსნა), მაუსი**

„სეზონის დასაწყისში ასეთ თამაშს უეჭველად წავაგებდით და ვაგებდით კიდეც, მაგრამ ახლა სეზონის დასაწყისი არაა და მეტოქეს უმცირესი შანსის მოცემისთვისაც ვსჯით" — ამაყად უთქვამს მაიამელ ალონზო მურნინგს. „ზოს" თავაწევით ლაპარაკის მორალური უფლება აქვს. მან და მისიანებმა მორიგი გამოცდა ჩაარიხინეს და ართუ ეიმედებათ, სწამთ, რომ პლეი ოფში ჩაირიცხებიან.

მართალია, „მაიამი" კვლავ მეთერთმეტეა აღმოსავლეთში, მაგრამ ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო დააახლოვა უახლოეს სადევნ „ტორონტოს", რომელმაც ჰიუსტონში ზედიზედ მეთორმეტე მარცხი იწვნია. არც სხვა კონკურენტები ჩანან ისე შორს, როგორც ცოტა ხნის წინ. ზოგიერთს აკანკალებს კიდეც ზურგსუკან „მაიამის" ქშენა რომ ესმის.

ოდნავ ზემოთ მურნინგმა მეტოქეთაგან ბოძებული შანსის გამოყენება ახსენა, ჩვენ განვავრცოთ. ჯერი სტეკჰაუზი იმ საღამოს იქნებ ყველა მასპინძელს სჯობდა და აკი 22 ქულა შეაგროვა „დეტროიტის" საკეთილდღეოდ, მაგრამ მატჩის მიწურულს მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. საერთოდ, უკიდურესად დაძაბული და სანახავად საზიზღარი თამაშის (ორივე გუნდი დაცვითი თამაშის მიმდევარია, ხალხს კი ასეთი გუნდები ცუდადართობენ) ბოლო წამები „მაიამიმ" „პისტონზზე" კონცენტრირებულმა ჩაატარა. მეოთხე მეოთხედის ბოლოს სტუმარმა როდ სტრიკლენდმა ორქულიანით 91:91 გაუთანაბრა მასპინძლებს და შესატევად რვა წამი დაუტოვა. ბურთი, ცხადია, დეტროიტელმა ყველაზე ჯადოსნურთალმა, ჯერი სტეკჰაუზმა გადაიტანა „მაიამის" ნახევარზე და მოედნის კუთხეში გარინდულ თანაგუნდელ ჯონ ბერის გადააწოდა. პასი ცუდი გამოდგა, ბურთი სტუმარმა ჯიმ ჯეკსონმა ჩაჭრა (მატჩის დამთავრებამდე 2,8 წამით ადრე), სტრიკლენდს უბოძა და მანაც მსწრაფლ იპოვა „დეტროიტის" კარის შორიახლოს ჩასაფრებული ედი ჯონსი. ჯონსმაც ედი კარის ხელებს ზემოდან, ზედ საფინალო სირენასთან ერთად „მაიამის" გამამარჯვებელი ბურთი ჩასვა „დეტროიტის" კალათში. „სამი წამი მთელი ცხოვრებაა, ვალდებულნიც ვიყავით, ეს დრო გამოგვეყენებინა, რადგან ოვერტაიმში ჯაჯგურის თავი არ გვქონდა" — უთქვამს მოქანცული, ღიმილიანი და ოფლიანი სახით ედი ჯონსს.

წაგებულთა მწვრთნელი რიკ კარლაილი შემცდარ სტეკჰაუზს კი არა, მესამე მეოთხედში საკუთარ კალათში 31 ქულის მიმღებ შეგირდთა სრულ კრებულს კიცხავს. „როდესაც მეტოქეს ამდენი ქულის გროვების ნებას აძლევ, ლიგის საუკეთესო დამცველი გუნდის პრეტენზია არ უნდა გქონდეს" — ამბობს ის.

სხვათა შორის, ლიგაში ყველაზე უკეთ დამცველი გუნდი სწორედ „მაიამია", მის შემდეგ, საკუთარ კალათში მიღებული ბურთების სიმცირით, მოდის მისგან ნაძლევი „დეტროიტი".

**ლეიკერსი 101:92 ნიუ ჯერსი**

**ლეიკერსი: ონილი (40 ქულა, 12 მოხსნა)**

**ნიუ ჯერსი: კიდი (19 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), მარი სი (17)**

**ნიუ იორკი 102:89 მილუოკი**

**ნიუ იორკი: ტომასი (29 ქულა, 20 მოხსნა), ჰიუსტო ნი (27), სპრიუელი (18)**

**მილუოკი: კასელი (18)**

**ჰიუსტონი 112:109 ტორონტო**

**ჰიუსტონი: ფრენსისი (35), მობლი (23), გრიფინი (17), ტომასი (16)**

**ტორონტო: კარტერი (43), უილიამსი (20)**

**სიეტლი 97:83 მინესოტა**

**სიეტლი: რადმანოვიჩი (21), პეიტონი (18 ქულა, 12 პასი)**

**მინესოტა: პილერი (20), გარნეტი (17)**

**ინდიანა 111:98 ორლანდო**

**ინდიანა: ტინსლი (30 ქულა, 12 პასი), ონილი (18), კროშერი (18)**

**ორლანდო: გარიტი (18)**

**დალასი 81:77 ფინიქსი**

**დალასი: ნოვიცკი (30 ქულა, 20 მოხსნა), ფინლი (24)**

**ფინიქსი: ცაკალიდისი (15)**

**კლივლენდი 103:96 ატლანტა**

**კლივლენდი: მიური (23), პერსონი (19)**

**ატლანტა: ტერი (29)**

**ვაშინგტონი 115:90 ჩიკაგო**

**ვაშინგტონი: ალექსანდერი (26)**

**ჩიკაგო: როუზი (31)**

**სან ანტონიო 109:88 გოლდენ სტეიტი**

**სან ანტონიო: დანკანი (23)**

**გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (24)**

სანამ ჰიუსტონური მატჩი დაიწყებოდა, დამსწრე საზოგადოებამ ფეხის ითგები დაიწყვიტა ძახილით — „ჰაკიმ, შენ ჩვენი ოცნება ხარ". ჰაკიმ ოლაჯუონს, 39 წლის ტომით ნიგერიელ და გულის ჯიბეში ამერიკული პასპორტის მქონე გიგანტს, „ჰიუსტონ როკიტსის" მაისურით ათას ორასამდე მატჩი ჩაუტარებია, ამ გუნდისთვის 17 წელი უერთგულია და ორი ჩემპიონობა უჩუქებია.

ხუთ მარტს მან ცხოვრებაში პირველად შეაბიჯა ფიცარნაგზე, როგორც „ჰიუსტონის" მოწინააღმდეგე გუნდის ინტერესების დამცავმა. ამის მიუხედავად, მისმა გამოჩენამ ბევრ ჰიუსტონელს ლამის ისტერიკა დამართა, ხალხი სიყვარულით ანთებული გულებით დახვდა „ჰიუსტონიდან" თავისი ნებით წასულს.

ისტერიკა და სიყვარული იყო მატჩის დაწყებამდე, ხოლო ჰაკიმმა მატჩში შვიდი ქულა ჩაუგდო ყოფილ თავისიანებს, ერთი ამდენი ბურთი მოუხსნა... მისმა თანაგუნდელმა ვინს კარტერმა მასპინძლებს ჰაკიმზე ექვსჯერ მეტი ქულა ჩაუყარა, ბოლოს კი ის გამოვიდა, რომ „ტორონტო" ზედიზედ მეთორმეტე მარცხისაგან ვერც ოლაჯუონმა იხსნა და ვერც კარტერმა.

დრო მიდის, ოლაჯუონი დაბერდა და მატჩის ბედი მასზე ველარ ჰკიდია. ასაკი ემატებათ სხვათაც. ამ შვიდი-რვა წლის წინ თავისი ზომა-წონით ჰაკიმის დამშინებელი, მაგრამ იმხანად ვერმჯობნი შაკილ ონილი გუშინ 30 წლისა მოიყარა და მრგვალი თარიღი გუშინწინ „ნიუ ჯერსისთვის" 40 ქულის ჩაგდებით და კიდევ ბევრი სხვა რაღაცით აღნიშნა. ცხადია, ქვეყნის ხალხმა მიულოცა დაბადების დღე და საჩუქრებიც ბლომად მიიღო. იგი ფიქრობს, რომ საუკეთესო საჩუქარი თვითონ მიუძღვნა საკუთარ თავს, როცა „ლეიკერსს" კიდევ ერთხელ გაამარჯვებინა, რითაც მისი გუნდი ლიგის ლიდერ „საკრამენტოს" შეუტოლდა 42 მოგებით და 17 წაგებით. აქედან სულ ცოტა რჩება ეულ ლიდერობამდე, ასე რომ ენატრება „ლეიკერსსა" და ყველა მის ქომაგს.

**ირაკლი ფირაშვილი**



ჰაკიმს ჰიუსტონი ფეხზე წამოუდგა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 39 | 20 | 66,1 |
| ბოსტონი | 32 | 27 | 54,2 |
| ორლანდო | 31 | 29 | 51,7 |
| ფილადელფია | 30 | 29 | 50,8 |
| ვაშინგტონი | 29 | 30 | 49,2 |
| მაიამი | 26 | 32 | 44,8 |
| ნიუ იორკი | 22 | 36 | 37,9 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 34 | 24 | 58,6 |
| მილუოკი | 34 | 25 | 57,6 |
| ინდიანა | 30 | 30 | 50,0 |
| შარლოტი | 29 | 30 | 49,2 |
| ტორონტო | 29 | 33 | 46,8 |
| ატლანტა | 22 | 38 | 36,7 |
| კლივლენდი | 22 | 38 | 36,7 |
| ჩიკაგო | 16 | 44 | 26,7 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 42 | 18 | 70,0 |
| მინესოტა | 40 | 20 | 66,7 |
| სან ანტონიო | 39 | 21 | 65,0 |
| იუტა | 33 | 26 | 55,9 |
| ჰიუსტონი | 22 | 37 | 37,3 |
| დენვერი | 17 | 40 | 29,8 |
| მემფისი | 15 | 45 | 25,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 42 | 17 | 71,2 |
| ლეიკერსი | 42 | 17 | 71,2 |
| პორტლენდი | 36 | 24 | 60,0 |
| სიეტლი | 34 | 27 | 55,7 |
| კლიპერსი | 30 | 30 | 50,0 |
| ფინიქსი | 28 | 32 | 46,7 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 42 | 27,6 |

# პეტრე მოვიდა

## ტყავის ძრობაც დაიწყო



პიტ სამპრასი

სკოტსდეილი. პარდი. საპრიზო 400 ათასი $

**პირველი წრე**

**ანდრე აგასი (1, აშშ)** — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 6:2; **კარლოს მოია (ესპანეთი)** — ტომი ჰაასი (2, გერმანია) 6:2, 6:7 (7:2), 6:3; **პიტ სამპრასი (3, აშშ)** — ბაირონ ბლეიკი (ზიმბაბვე) 6:4, 6:2; **მიხაელ კრატოჩვილი (შვეიცარია)** — გილერმო კანასი (4, არგენტინა) 6:3, 3:6, 6:3; **ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი)** — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 5:7, 6:3, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა)** — რობი ჯინეპრი (აშშ) 5:7, 7:6 (8:6), 6:4; **რაინერ შიუტლერი (გერმანია)** — ხსენგ შალკენი (8, ჰოლანდია) 6:4, 2:6, 6:2; **ნოამ ოკუნი (ისრაელი)** — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 7:6 (8:6), 6:4

ანდრე აგასი და ესპანელი ფრანსისკო კლავეტი სკოტსდეილის კორტზე მესამედ შეხვდნენ. ორივე წინა შეხვედრა ამერიკელის დამარცხებით დასრულდა — შარშანწინ კლავეტმა იგი მეორე წრეში გამოწირა, შარშან კი პირველიდანვე გაისტუმრა და მერე საერთოდ ტურნირიც მოიგო. არადა, ვიდრე ესპანელი ჩოგანს დააჭაშნიკებდა, აგასის სკოტსდეილში სამი ტიტული მოეხვეჭა და თავი იქაურობის სრულუფლებიან ბატონ-პატრონად მიაჩნდა. ამიტომაც, იყო, ური მეტოქეს გუშინ გამძაგებული რომ ეკვეთა და 67 წუთის თავზე დააწოჭა კიდეც.

„არაჩვეულებრივი რამეა, როცა ერთსა და იმავე ტურნირზე ზედიზედ სამი წელი ერთსა და იმავე მოწინააღმდეგესთან გიწევს თამაში. თან მით უმეტეს ისეთ ჩამხვევსა და ჩამხუჭუჭებულთან, როგორიც ფრანსისკოა" — ამბობდა ნამატჩევს შეოფ'ზის მედიდსლეშე აგასი. თილი მისთვის არც წინა კვირაში შეჩვეული სანხისეური ჭერჭეშა აქტმოსფეროს შემდეგ არიზონულ ჭერგარე ატმოსფეროსთან შეგუება გახლდათ. „თუმცა მაინც კმაყოფილი ვარ — შედარებით უპრობლემოდ გადმოვერთე" — დასძინა იგი. 33 წლის ცოცხა ესპანელს კი ამ შეხვედრაში აგასის კულრაჭობების გარდა ნატკენ კოჭთან ჭიდილიც უხდებოდა. „ჰოდა, რა გასაკვირია, რომ დღეს ვერაფრის გაკეთება ვერ მოვახერხე" — მის ამ რიტორიკულ ამოოქმის პასუხად არც არავინ შეხმიანებია.

დღეისის თასის მერვედფინალში სლოვაკთა ძლევის მერე პირველად გამოჩნდა მეორე დიადი ამერიკელი, პიტ სამპრასი, ვინაც უკვე ზედიზედ ოთხი წელია, სკოტსდეილში მეორე წრის მიღმა არ გასულა. ეტყობა, ერთგვარი დასჯუფება პიტს მაგრად შეეფრო, რადგან ბაირონ ბლეკს ისე დააცხრა, მისგან ყოველთვის რომ გამოელიან ხოლმე ისე იწავა, რომ თავის ჩაწოდებებზე მხოლოდ სამი ბურთი გაატუტა. ბებერ ბაირონსაც რა უნდა ექნა, 44 წუთი გაუძლო, მერე კი 13-გზის მედიდსლემეს ეჭვს პირად შეხვედრაში მეცხვე დაუთმო.

„აქ თამაში ყოველთვის მიჭირდა, მაგრამ დღეს საქმე მართლაც ჩინებულად ამეწყო. თავიდანვე კარგად ავკრიფე და მერეც რიხინ-რიხინით ვიჯირითე" — ნამატჩევს პიტი აშკარად კმაყოფილი ჩანდა.

სამაგიეროდ, დალრეველიყო მეორე ნომრად განთესილი ტომი ჰაასი, რომელსაც მხრის ტკივილებია თუ კიდევ სხვა რამ, ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში წაგების მერე ხერიანი ალარაფერი გაუკეთებია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბალემ მას ესპესაა აკაპულკოს ტურნირში ნაალაფევი კარლოს მოია არგუნა, რაც საჩუქარი არავისთვის გახლავთ. ორსაათიანი დაძაბული და ოფლიანი შეხლა ესპანელმა გადამწყვეტი ხელწალმით დააგვირგვინა. „ძალიან ცუდად ვითამაშე. ეს ეგებ იმის ბრალიც იყოს, რომ ბოლო კვირების განმავლობაში ბევრი შეხვედრა არ გამიმართავს" — ასე იმართლებდა თავს 24 წლის გერმანელი. ის კი უნდა ხსომებოდა, რომ ცოტა შეხვედრა სწორედ წინა ტურნირებში ცუდი თამაშისა და, შესაბამისად, ადრე გავარდნების გამო გამართა!

იხე კი, დღის უმთავრეს ხენსაციად მაინც შვეიცარიელი მიხაელ კრატოხვილის მიერ მეოთხე ნომრად განთესილი გილერმო კანასის გაგდება ალიქვეს. ჩოგნის დროზე ადრე დაშალითება კანასმა მშობლიური ბუენოს აირესისა და აკაპულკოს ტურნირებზეც პირველივე წრეებიდან იკადრა და ჩოგანი კაცურად არც უკანასკნელ 5 შეხვედრაში 5 წაგების მქონე კრატოხვილისთვის შეუბრუნებია. მოკლედ, ამ ეტაპზე ჩასვრილია, რა.

**ლევან ბელაშრაძე**

# თებერვალი ესკუდესთვის დადგა

## როდიკი მართლა ვარსკვლავებს ეთამაშება

**ATP-მ** თებერვლის ჯილდოება ჩამოარიგა. თვის საუკეთესო მოთამაშედ ფრანგი ნიკოლა ესკუდე მიიჩნიეს, მზარდ ვარსკვლავად — ამერიკელი ენდი როდიკი. თვის საუკეთესო წყვილის წოდება კი არგენტინელებს, გასტონ ეტლისსა და მარტინ როდრიგესს ერგოთ.

25 წლის ესკუდესთვის გასული თვე მართლაც შემოსავლიანი გახლდათ — როტერდამის ტურნირში გამარჯვებამ (რომლის გადამწყვეტი მატჩი მან თვით ტიმ ჰენმანს მოუგო), ხოლო ერთი კვირით ადრე მარსელის ფინალამდე გახვლამ (სადაც ის შვედ ტომას ენკვისტთან დამარცხდა) მას ჩემპიონთა რბოლის ჩათვლაში 74 ქულა და მე-17 ადგილიდან მე-4-ზე ანაცვლების უფლება მოუპოვა. წლეულს ნათამაშები 19 მატჩიდან ესკუდემ 16 მოიგო და როჯერ ფედერერთან და ირჟი ნოვაკთან ერთად ATP-ის მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტი მოგებით კვეხნა შეუძლია.

ჩემპიონთა რბოლაში არანაკლებ შთამბეჭდავი ნახტომი გააკეთა 19 წლის როდიკმაც, ვინაც მემფისში კარიერის მე-4 ტიტული მოიხვეჭა და სან ხოსეს ტურნირის ნახევარფინალამდე, სადაც ადმატებულ თვისტომ აგასის დაუთმო, 10-მოგებიანი მძლავრი სერია ჩაითამაშა. შედეგად მან 65 ქულა მოიმკა და რბოლაშიც 37-ედან მე-8 ადგილამდე ამაღლდა. მზარდი ვარსკვლავის ტიტული როდიკს, სხვათა შორის, შარშან აგვისტოსა და სექტემბერშიც რგებია.

რაც შეეხება არგენტინულ წყვილს, მას ვინა დელ მარისა (ჩილეში) და ბუენოს აირესის ტურნირების მოგება დაუფასდა. ეტლისი და როდრიგესი წყვილთა რეიტინგში ახლა მე-8 საფეხურზე დგანან და წლეულს მოგებული 9 მატჩის წილ მხოლოდ ერთი მარცხი აქვთ ნაწვნევი.

სხვაფრივ, ესკუდემ თვის საუკეთესო მეჩოგნის წოდება სწორედ როდიკს, ბუენოს აირესში ნახერებ ჩილელ ნიკოლას მასუსა და დუბაის ტურნირში ავადმყოფობის მიუხედავად გამარჯვებულ ფაბრის სანტოროს წაჰგვარა. მზარდი ვარსკვლავის წოდებას კი როდიკს ვინა დელ მარის მაოხარი ფერნანდო გონსალესი, აკაპულკოს ნახევარფინალისტი ალბერტ მონტანესი და მემფისის ნახევარფინალისტი ქსავიე მალისი ეცილებოდნენ.



ნიკოლა ესკუდე



ენდი როდიკი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უმცროსი ბორჯღალოსნები უმცროს მსოფლიოს თასზე

**ამ** უქმეებზე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გაფრინდა საფრანგეთში, სადაც 20-30 მარტს იტალიაში გასამართ მსოფლიოს თასისთვის ორკვირიან მოსამზადებელ შეკრებას გაივლის. შეგახსენებთ, რომ შარშან ჩილეში ჩვენი ჭაბუკები მსოფლიოს თასის „B" ჯგუფის ჩემპიონები გახდნენ და ელიტაში აინაცვლეს. უმცროსი ბორჯღალოსნები საფრანგეთში რამდენიმე საკონტროლო მატჩს ითამაშებენ. ტრევიზოში კი, სადაც ტურნირი უნდა გაიმართოს, 19 მარტს ჩავლენ. ქართველი მორაგბეების ამოცანა უძლიერესთა რიგებში ადგილის შენარჩუნებაა: ელიტიდან ორი მაჩანჩალა ჩამოქვეითდება, მათ ადგილს კი „B" ჯგუფის ფინალისტები დაიკავებენ. საიტალიოდ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პაატა ნარიმანაშვილმა ეს 26 მორაგბე შეარჩია: გოგა შკინინი, გურამ გეგეჭკორი (ორივე ხულიგანა), ანდრო ზედგინიძე (ტულონი), გიორგი გეგიძე, გიორგი ელიზბარაშვილი, გიორგი ოქრომჭედლიძე, ბექა გელაძე, ვახტანგ მჭედლიძე (ყველა აკადემია), ბიძინა სამხარაძე, ლაშა ჯანჯალაშვილი, თემურ ქობელაშვილი, ნიკა მამულაშვილი (დინამო), ბექა სარდანაშვილი, დავით კობეშავიძე, მამუკა გიორგაძე, ლაშა ფირფილაშვილი, ოთარ ბარკალაია (ორბელი-ლელო), მერაბ კვირიკაშვილი, ზურაბ კორკოტაძე, ლუკა ხარიაშვილი (უნივერსიტეტი), ელიზბარ კუპარაძე, ვანო სოხაძე (ყოჩები), გრიგოლ ცნობილაძე, დავით იობაშვილი (აია), დავით ზირაქიშვილი (რუსთავი), ლევან დათუნაშვილი (ასკ).

ქართული დელეგაცია 31 კაცისგან შედგება. მთავარი მწვრთნელისა და მორაგბეების გარდა საფრანგეთში მწვრთნელები, მამუკა ტყეშელაშვილი, ლევან მაისაშვილი, გუნდის მენეჯერი დიმა ობოლაძე და ექიმი კოტე კილაძე გაემგზავრნენ.

**ბაჩო სვანიძე**

# ახალგაზრდა, თავდაჯერებული, ამბიციური

## ზვიგენის ყბიდან ჟურნალისტთა ყბაში



რუდოლფ სტრაული

**რაც** აფრიკელი მილიონერი და რაგბის სპეციალისტი ჰარი ფილოუნი იანვარში სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგა, „ქურციკები" უმწყემსოდ იყვნენ. ახლა კი ეს საშარო და ერთობ საპასუხისმგებლო საქმე 38 წლის რუდოლფ სტრაულიმ დაიკისრა. ასაკის მიუხედავად, მან ისეთ პრეტენდენტ-კონკურენტებს აჯობა, როგორებიც „კარდიფის" მოძღვარი რუდი ჟუბერი, ჯეიკ უაიტი და ალისტერ კუტცე არიან. სხვათა შორის, კუტცე კარგად უნდა ახსოვდეთ რაგბის ქართველ ქომაგთ. ამ მულატმა კაცმა ნოემბერში სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრებს უთავკაცა თბილისში.

დურბანის „შარქსის" (ზვიგენები) დამრიგებელმა სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება შეიძლება გახანგრძლივდეს, თუ „ქურციკები" მის ხელში საკადრის შედეგს მიაღწევენ. საგანგებო პრესკონფერენციაზე სტრაულიმ თქვა: „თუ დარწმუნებული არ ხარ, ასეთ საქმეს ხელი არ უნდა მოჰკიდო. მჯერა, მოვალეობას თავს გავართმევ და სამხრეთ აფრიკას ძველ დიდებას დავუბრუნებ. ისიც ვიცი, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში მედიის რისხვა დამატყდება. ამისთვის მზად ვარ. მსოფლიოს თასამდე წელიწადი რჩება და ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო".

ეროვნული ნაკრების გაწვრთნას სტრაული აპრილიდან შეუდგება, როდესაც „შარქსთან" ერთად ავსტრალიურ ოთხმატჩა ტურნეს მოილევს და ზე-12-ს გამოემშვიდობება. ბოლო ათი წლის მანძილზე, რაც სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდი გადავარდა, სტრაული „ქურციკთა" მეცხრე მწვრთნელია.

**ბაჩო სვანიძე**



### ჩემპიონთა ლიგა. ქალები

ჯგუფური ეტაპი. საბოლოო ვითარება

A ჯგუფი: ლარვიკი (ნორვეგია) — მოტორი (უკრაინა) 27:26; ბეზანსონი (საფრანგეთი) — ზალაუ (რუმინეთი) 25:25

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლარვიკი | 4 | 1 | 1 | 160:154 | 9 |
| მოტორი | 3 | 0 | 3 | 147:141 | 6 |
| ზალაუ | 1 | 3 | 2 | 151:160 | 5 |
| ბეზანსონი | 1 | 2 | 3 | 151:154 | 4 |

B ჯგუფი: მილარი (ესპანეთი) — დუნაფერი (უნგრეთი) 22:20; გოგ გუდმე (დანია) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) 34:29

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბუდუჩნოსტი | 4 | 0 | 2 | 180:165 | 8 |
| მილარი | 3 | 0 | 3 | 159:166 | 6 |
| დუნაფერი | 3 | 0 | 3 | 140:139 | 6 |
| გოგ გუდმე | 2 | 0 | 4 | 156:165 | 4 |

C ჯგუფი: ვიბორგი (დანია) — ჰიპო (ავსტრია) 23:28; ჰერცი (უნგრეთი) — ფეროიბუსი (ესპანეთი) 30:26

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰერცი | 3 | 1 | 2 | 179:172 | 7 |
| ფეროიბუსი | 3 | 1 | 2 | 163:167 | 7 |
| ჰიპო | 3 | 0 | 3 | 171:159 | 6 |
| ვიბორგი | 2 | 0 | 4 | 163:178 | 4 |

D ჯგუფი: კრიმი (სლოვენია) — მონტექსი (ჰოლანდია) 24:27; კომეტალი (მაკედონია) — აკვა (რუსეთი) 20:19

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კომეტალი | 4 | 1 | 1 | 158:140 | 9 |
| მონტექსი | 3 | 0 | 3 | 160:165 | 6 |
| კრიმი | 3 | 0 | 3 | 148:151 | 6 |
| აკვა | 1 | 1 | 4 | 134:144 | 3 |

*ყოველი ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდი ბრძოლას პირველობისთვის პლეი-ოფის წესით გააგრძელებს. მეოთხედფინალში 17 და 24 მარტს ერთმანეთს შეხვდებიან: „მილარი" — „ლარვიკი", „მოტორი" — „ბუდუჩნოსტი", „მონტექსი" — „ჰერცი", „ფეროიბუსი" — „კომეტალი".*

### ვაჟები. მეოთხედფინალი

(ფრჩხილებში პირველი მატჩების შედეგია)

**პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 22:27 ჟალგირო (ხორვატია) (28:21)**

**მაგდებურგი (გერმანია) 28:25 პივოვარნა (სლოვენია) (29:31)**

**ფოტექსი (უნგრეთი) 30:18 ადემარი (ესპანეთი) (27:22)**

**კოლდინგი (დანია) 30:27 რიდგიორგსლიდსი (გერმანია) (30:31)**

*24 და 31 მარტს ნახევარფინალური შეხვედრებია: „პორტლენდ სან ანტონიო" — „ფოტექსი" და „მაგდებურგი" — „კოლდინგი".*




იზოლდე კოსტნერს ბროლის პატარა გლობუსი გადასცეს



REUTERS

მიხაელა დორფმაისტერი ქოშებზე შედგა და პოდიუმისკენ გასწია

# ოლიმპიადა უკვე იყო?

## დორფმაისტერს ბროლის გლობუსმა სოლტ ლეიკ სიტი დაავიწყა

**ავსტრიის** ალტენმარკტში ქალთა მსოფლიოს თასის გამარჯვებული დადგინდა. დაახლოებით ისეთივე ბროლის გლობუსი, როგორიც ნორვეგიაში შტეფან ებერჰარტერს გადასცეს, მიხაელა დორფმაისტერმაც მიიღო. ორივე ავსტრიელია.

დორფმაისტერმა მსოფლიოს თასი პირველად მოიგო, თუმცა სამთოთხილამურობაში სტაჟიან მოსრიალედ ითვლება ავსტრიელი, რომელსაც 25 მარტს 29 წელი შეუსრულდება, სათასო წარმატებებს 1996 წლიდან აღწევს, როცა სანქტ ანტონში სწრაფდაშვება მოიგო, თუმცა მერე და მერე მისი ლვიძლი დისციპლინა უფრო გიგანტური სლალომი გახლდათ, სადაც 8 სათასო გამარჯვება ერგო. 3-ჯერ სუპერგიგანტის პოდიუმზეცაა ნამყოფი. გარდა ამისა, დორფმაისტერმა დაინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონატზე სუპერგიგანტის ბრინჯაო და მსოფლიო თასის მცირე გლობუსი გიგანტურ სლალომში საერთო ჩათვლის მოგებისთვის, მაგრამ მაღალი სიჩქარეებისთვის ბოლომდე არასდროს უღალატია და მარშან კვლავ თავის ფესვებს, ანუ სწრაფდაშვებას დაუბრუნდა მოზრდილი წარმატებით: სანქტ ანტონში მსოფლიო პირველობაზე გაიმარჯვა.

სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადამ დორფმაისტერს ნერვების მოშლის მეტი ვერაფერი შესძინა, ბრინჯაო რაა, ისიც ვერსად აიღო, ამიტომ: „რა, წელს იყო ოლიმპიადა?“ — უწყინარი სახით იკითხა, როცა ჟურნალისტები გამარჯვების მისალოცად ეახლნენ და მისთვის მტკივნეული ამბავიც გაახსენეს.

გუშინ დორფმაისტერმა მსოფლიოს თასი სწრაფდაშვების ეტაპის მოგებით გაიფორმა. ადრიან დილით ზემოთ ნახსენებ ავსტრიულ კურორტზე, ბლომად ქომაგთა დასანახად, დორფმაისტერმა კომეტასავით ჩამოიქროლა და გერმანელი ჰილდე გერგი კი, ვინც წინადღეს სუპერგიგანტის მცირე გლობუსით დააჯილდოვეს, იმ დღეს უხეირო იყო. გერგი მე-15 ადგილზე გავიდა და ახლა, თასის ფინიშამდე 3 ეტაპით ადრე, დორფმაისტერს ვერავინ დაეწევა. თეორიულად ამის გაკეთება შეუძლია რენატე გოეჩლს, რომელიც თვისტომს მრგვალი 200 ქულით ჩამორჩება, მაგრამ გოეჩლი საამისოდ რიგ პირობებს უნდა პასუხობდეს: არ სტკიოდეს წვივი, მუხლი და ექიმთაგან ნახევარწლიანი „დისკვალიფიკაცია“ არ უნდა ჰქონდეს გამოწერილი.

მოკლედ, დორფმაისტერმა გაიმარჯვა, მაგრამ სანუკვარ პლანეტის მოდელს მხოლოდ ბოლო ეტაპის შემდეგ გადასცემენ, იმ დღეს კი გლობუსი, ოღონდ პატარა, მიიღო იტალიელმა იზოლდე კოსტნერმა, სწრაფდაშვებაში საერთო ჩათვლის მოგებისთვის.

**დავით გულუა**

| ქალები |
| --- |
| **სწრაფდაშვება** |
| 1. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 1.40,09; 2. კაროლინ ლალივი (აშშ) 1.40,28; 3. მელანი სუში (საფრანგეთი) 1.40,29 |
| **სწრაფდაშვების საბოლოო ჩათვლა** |
| 1. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 568; 2. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 469; 3. კორინე რეი ბელეტი (შვეიცარია) 414 |
| **საერთო ჩათვლა** |
| 1. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 1131; 2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 931; 3. სონია ნეფი (შვეიცარია) 804 |

# სკარი ღელავს, პერი თავშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საერთოდ,** ბენტე სკარიც თავშია, ანუ ქალთა სათხილამურო მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლას ლიდერობს, მაგრამ ნორვეგიელი ჯერჯერობით მშვიდად ვერ იძინებს, რადგან 1(!) ქულით უსწრებს წლეულს აწყვეტილ კატარინა ნეუმანოვას ჩეხეთიდან, ამიტომ დარჩენილ 4 ეტაპზე შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

სხვათა შანსები თასის მოსაგებად ერთობ მწირია. მაგალითად, წერილის სტატისტიკურ ნაწილში რუსი იულია ჩეპალოვას ქულები იხილეთ, რომელიც მესამე ადგილზეა და სხვები: ესტონელი კრისტინა შმიგუნი, იტალიელი სტეფანია ბელმონდო და დანი მარიი ლიდერებს კიდევ უფრო ჩამორჩებიან.

გუშინწინდელი ეტაპი სპრინტი იყო, რომელიც სტოკჰოლმში, „როიალ პალასის“ (სამეფო სასახლე) ირგვლივ 1,5 კილომეტრზე გაიმართა. ეტაპი სკარიმ მოიგო და ნეუმანოვას გაუსწრო, თუმცა, ვიმეორებთ, ყველაფერი წინ არის, როცა ვაჟთა ნაწილში შვედ პერ ელოფსონის თავი ქუდში ვგულება. თუნდაც გუშინწინ ელოფსონმა ვერარც გაალწია ვაჟთა სპრინტის ფინალში (იმავე სტოკჰოლმში შედგა), მაგრამ 216 ქულა აქვს მარაგში და მისი დამწევი არარც ნორვეგიელი ტომას ალსგარდი ჩანს.

გაიმარჯვა კი ვიკინგმა იენს არნე სვარტედალმა, რომელმაც ნორვეგიელსავე ტორდ ესვერსენს ფინიშთან ბეწვზე მაასწრო. ორ მომდევნო ადგილზე შვედები გავიდნენ.

სვარტედალის ადგილს საერთო ჩათვლის ცხრილში არ შევეხებით, მე-12 პოზიციაზე გახლავთ.

**დავით გულუა**

| მსოფლიოს თასი |
| --- |
| **ვაჟები** |
| 1,5 კმ სპრინტი |
| 1. იენს არნე სვარტედალი (ნორვეგია); 2. ტორდ ესვერსენი (ნორვეგია); 3. ბიორნ ლინდი (შვედეთი); 4. მატიას დანიელსონი (შვედეთი) |
| **საერთო ჩათვლა** |
| 1. პერ ელოფსონი (შვედეთი) 659; 2. ტომას ალსგარდი (ნორვეგია) 433; 3. ანდერს აუკლანდი (ნორვეგია) 419 |
| **ქალები** |
| 1,5 კმ სპრინტი |
| 1. ბენტე სკარი (ნორვეგია); 2. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია); 3. ანიტა მოენი (ნორვეგია); 4. ლინა ანდერსონი (შვედეთი) |
| **საერთო ჩათვლა** |
| 1. ბენტე სკარი (ნორვეგია) 711; 2. კატერინა ნეუმანოვა (ჩეხეთი) 710; 3. იულია ჩეპალოვა (რუსეთი) 597 |



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# მაიმუნი კაცურად არ ჩაიჭრა

## პიტსბურგს კინაღამ მაისურა დაახურეს



REUTERS

ფლორიდის „მაიმუნმა“ პიტერ უორელმა პიტსბურგის პოლონელი კშიშტოფ ოლივა დაიმორჩილა

5 მარტი

**პიტსბურგი 6:5 ფლორიდა 1:1 3:1 1:3 1:0**
1:0 ლანგი (4), 1:1 უიმერი (11), 2:1 რ.რობიტაილი (27), 2:2 ნილსონი (28), 3:2 ჰრდინა (36), 4:2 კოვალიოვი (39), 5:2 რ. რობიტაილი (41), 5:3 ჰუსელიუსი (47), 5:4 ვ. ბურე (52), 5:5 ნოვოსელცევი (53), 6:5 კოვალიოვი (64)

ლემიეს გარეშე დარჩენილ პიტსბურგს ისედაც არ ულხინს და აუტსაიდერ ფლორიდასთან თამაშის ბოლო 13 წუთში კინაღამ წყალში გადაეყარა ნაჯაფი. 5:2 დაწინაურებულ პიტსბურგელებს თითქოს ისღა დარჩენოდათ, რომ მშვიდად ჩაემთავრებინათ თამაში, მაგრამ თურმე წინ ელოდათ კოშმარი, რომელიც ჰრდინას მიერ გატანილი, მაგრამ არჩათვლილი გოლით დაიწყო (არბიტრის აზრით, პიტსბურგელმა ფეხით შეაგდო შაიბა). ამას კრისტიან ჰუსელიუსის ერთი საპასუხო მოჰყვა. შემდეგ ფლორიდელთა პოლიციელმა პიტერ უორელმა, მეტსახელად „მაიმუნმა, კშიშტოფ ოლივა აიგდო აბუჩად, მაისურა თავზე წამოაცვა. ამ ჩხუბში მოგებით გამხნევებულმა სტუმრებმა ძირითადი დროის დასრულებამდე გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ საბოლოოდ ღმერთმა დაინდო მასპინძლები, რომელთაც ქულები მეტოქეზე მეტად სჭირდებოდათ და ოვერტაიმში ალექსეი კოვალიოვი გოლით დაასაჩუქრა.

**ფინიქსი 4:1 ნიუ ჯერსი 2:0 0:0 2:1**
1:0 უილსონი (4), 2:0 ნაგი (11), 2:1 გომესი (46), 3:1 ბერეზოვსკი (48), 4:1 შ. ჯონსონი (60)

კევინ კონსტანტინისთვის, რომელიც ნიუ ჯერსის მწვრთნელად სეზონის მსვლელობისას დაინიშნა, მე-12 თამაში ავბედითი გამოდგა. „პირველად მოხდა, რომ მეტოქემ სამივე პერიოდში გვაჯობა. მეგონა, კოლორადოსთან მარცხის შემდეგ ბიჭები ჯავრს იყრიდნენ, მაგრამ ფინიქსი ჩვენზე გაცილებით უკეთ მომზადებული აღმოჩნდა“ — სევდიანად აღიარა „ეშმაკთა“ თავკაცმა.

**მინესოტა 2:3 რეინჯერსი 1:0 1:0 0:2 0:1**
1:0 გაბორიკი (8), 2:0 ლააქსონენი (35), 2:1 დვორაკი (43), 2:2 ლიჩი (54), 2:3 ლიჩი (64)

**ჩიკაგო 1:2 კაროლინა 1:1 0:0 0:0 0:1**
0:1 კოული (8), 1:1 კოროლიოვი (8), 1:2 ბოლი (62)

ოვერტაიმში თამაში ჩვევად ექცა კაროლინას. დამატებით დროში ოთხი ოთხზე თამაშს ჩვეულმა „ქარიშხლებმა“ თანდათან უხშირეს მოგებებს. ამჯერად რიგით 22-ე ოვერტაიმში სტუმრებმა მეექვსედ გაიმარჯვეს.

**სან ხოსე 0:2 ნეშვილი 0:0 0:1 0:1**
0:1 არხიპოვი (39), 0:2 ჯონსონი (60)

სან ხოსეს ლიდერ ტეემუ სელიანეს ძალიან უნდოდა, კარიერაში მე-400 გოლი სწორედ ამ თამაშში გაეტანა, მაგრამ... ორჯერ სტუმრები მეკარე მაიკ დანჰემმა იხსნა აშკარა გოლისგან, მესამედ კი „ფინურმა ელვამ“ თავად ვერ ივარგა, როცა ერთი მეტრიდან კარს ააცილა.

**სამველ ღარიბიანი**

# ბაფანობა ვაკეში

## 27 მარტი საქართველო VS სამხრეთ აფრიკა

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ იმ მატჩების ზუსტი თარიღები და მეტოქეები გამოაცხადა, საქართველოს ნაკრებს ევროპის 2002 წლის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად რომ გამოადგება.

უახლოეს ამხანაგურ შეხვედრას ეროვნული გუნდი ამ თვეშივე, 27 მარტს, თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან ჩაატარებს. 27 მარტი ფიფას კალენდარში ამხანაგური მატჩების დღეა და უნდა ვივარაუდოდ, რომ „ბაფანა-ბაფანა", რომელიც ამ ზამთარს კონტინენტის თასის გათამაშებას მეოთხედფინალიდან დაემშვიდობა, თბილისს უძლიერესი შემადგენლობით ესტუმრება. ყოველ შემთხვევაში, აფრიკელთა ფრანგ მწვრთნელ პიერ ლეშანტრეს ასე სურს და შემოუთვლია, მაგარი გუნდი მომყავსო. საქართველო კი სამხრეთაფრიკელებს, ალბათ, შესუსტებული დაუხვდება. კაპიტანი გიორგი ნემსაძე, მცველი ზურაბ ხიზანიშვილი, თავდამსხმელები — არჩილ და შოთა არველაძეები და მიხეილ ყაველაშვილი ტრავმირებულნი არიან, კახა კალაძის ამბავიც მოგეხსენებათ, გოჩა ჯამარაული კი კარგა ხნის უთამაშებელია. ეროვნული გუნდის მწვრთნელი საამატჩო შემადგენლობის გამოცხადებას ერთ კვირაში აპირებს და დანარჩენსაც მერე შევიტყობთ.

შემდეგ ამხანაგურ თამაშს, ადრეც იყო ცნობილი, საქართველოს ნაკრები 17 აპრილს კიევში, უკრაინელების წინააღმდეგ გამართავს, წინა დღით კიევში ახალგაზრდული გუნდების შეხვედრაცაა დაგეგმილი. 20 აგვისტოს, შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე, ჩვენები ასევე სტუმრად ესტონეთს გაეჯიბრებიან, შინ კი ბალტიისპირელებს გაისად, 12 თებერვალს უმასპინძლებენ.

შესაძლოა, ამათ გარდა, საქართველოს ნაკრების მეტოქეობა სხვა ქვეყნებმაც ისურვონ. ასე რომ, შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე გასამართი ამხანაგური მატჩების საბოლოო გრაფიკი შედგენილი არ არის.

ვალერი ჩოლარიას თქმით, თბილისი ოქტომბერში ლიხტენშტაინში ჩასატარებელი 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მატჩებსაც უმასპინძლებს. ქართველთა გარდა თბილისში ბელგიელი, უკრაინელი და ფარერელი ჭაბუკები ითამაშებენ. ფეხბურთის ფედერაციას 17-წლამდელთა ანალოგიური შეჯიბრის მასპინძლობაც სურდა, მაგრამ ბევრი მოგივათო, შემოუთვლია უეფას.

**კობა ინასარიძე**



REUTERS მადრიდიდან

კი ერჩივნა ესპანეთის მეფეს, სამეფო თასი საუკუნოვანი სამეფო კლუბისთვის გადაეცა, მაგრამ ხელში ლაკორუნიელები შერჩა



გამარჯვებულმა ლიონელ სკალონიმ სიხარულისგან ტრუსი დაკარგა





დამარცხებულნი და შერცხვენილნი რაული და ივან ელგერა

### ესპანეთი

**სამეფო თასის ფინალი**

რეალი 1:2 დეპორტივო

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

**გადადებული მატჩები**

ვატენშაიდი 0:2 ესენი

იურდინგენი 1:1 მიუნსტერი

ფორტუნა 3:2 დიუსელდორფი

**თასის ნახევარფინალი**

შალკე 2:0დ.დ. (0:0) ბაიერნი

### ინგლისი

**პრემიერლიგა. XXIX ტური**

ჩელსი 3:2 ფულემი

ლიდსი 2:0 იფსვიჩი

ლივერპული 3:0 ნიუკასლი

მანჩესტერი 4:0 ტოტენჰემი

საუთჰემპტონი 1:1 მიდლსბრო

ვესტ ჰემი 1:0 ევერტონი

**პირველი დივიზიონი XXXVIII ტური**

ქოვენტრი 1:0 შეფილდ იუნაიტედი

ნოტინგემი 2:2 ვულვერჰემპტონი

შეფილდ უენსდეი 1:2 უიმბლდონი

### ბელგია

**თასის ნახევარფინალი საპასუხო მატჩები**

სენტ ტრუიდენი 2:2 მუსკრონი (0:3)

ლოკერენი 0:3 ბრიუგე (0:3)

### ჩეხეთი

**გადადებული მატჩი**

ტეპლიცე 0:0 იაბლონეცი

### საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი XXVIII ტური**

ბასტია 0:1 პსჟ

სედანი 1:0 ბორდო

მეცი 0:1 ლილი

ლანსი 2:0 რენი

ნანტი 0:0 სოშო

გენგამი 4:3 ლორიანი

ლიონი 1:0 მონაკო

ტრუა 2:0 მონპელიე

**მეორე დივიზიონი XXXI ტური**

აიაჩო 1:1 ნიცა

კაენი 1:0 ნიმი

კრეტეი 1:3 ნიორი

ლე მანი 1:0 სტრასბური

შატორუ 1:1 ნანსი

ვენიონი 1:2 მარტიგი

გრენობლი 0:0 ბოვე

ვასკალი 1:0 ისტრი

სენტ ეტიენი 3:1 ლავალი

### ავსტრია

**გადადებული მატჩები**

რაპიდი 1:1 აუსტრია

კერნტენი 0:2 ტიროლი

### თურქეთი

**თასის ნახევარფინალი**

კოჯაელი 1:0 ადანა

დენიზლი 0:1 ბეშიქთაში

### შვეიცარია

**მეორე ეტაპი A ჯგუფი. III ტური**

ლუგანო 1:0 გრასჰოპერი

იანგ ბოისი 3:1 სერვეტი

ციურიხი 2:1 სიონი

სენტ გალენი — ბაზელი გადაიდო

**მეორე ეტაპი A/B ჯგუფი. III ტური**

ვინტერთური 2:2 აარაუ

დელემონი 1:0 ბილი

ლუცერნი 1:2 ლოზანა

ქსამაქსი 4:0 თუნი

**მეორე ეტაპი B ჯგუფი. III ტური**

კონკორდია 1:2 ბადენი

კარუჟი 1:2 ვადუცი

ლოკარნო 0:3 კრიენსი

ივერდონი 3:2 ბელინცონა

### შოტლანდია

**პრემიერლიგა გადადებული მატჩი**

სენტ ჯონსტონი 0:2 რეინჯერსი

**მესამე დივიზიონი გადადებული მატჩი**

სტირლინგი 0:1 ისტ ფაიფი

**ასოციაციის თასი 1/4 ფინალი. გადათამაშება**

აირი (I) 2:0 დანდი იუნაიტედი

### პოლონეთი

**თასის ნახევარფინალი პირველი მატჩები**

რუხი 1:0 ამიცა

პლოცკი 1:2 ვისლა

---

## კალათბურთი

### ევროლიგა

**მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. 6 მარტი**

| E ჯგუფი | H ჯგუფი | |
|---|---|---|
| სკავოლინი 87:88 ბარსელონა | ცსკა 86:80 ულქერი | მაკაბი 77:78 ტაუ |


# სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:**
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი კაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კილაურიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**კორესპონდენტი გერმანიაში** ვანო ოქროპირიძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:**
**ხელმძღვანელი** მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუყუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge